ТМ попадают в биосферу вследствие техногенного рассеивания от выбросов высокотемпературных технологических процессов (черная и цветная металлургия, тепловые электростанции и т.д.). Одним из важнейших компонентов окружающей среды является почва, которая принимает на себя воздействие промышленных выбросов и отходов, остаточных количеств пестицидов и других токсикантов, выполняя важную роль буфера и детоксиканта. Источником загрязнения почв могут служить осадки бытовых сточных вод, используемых в качестве удобрения, а также, вторичное загрязнение вследствие выноса ТМ из отвалов рудников или металлургических предприятий водными или воздушными потоками [3,7].

Технологические выбросы от стационарных и передвижных источников загрязнения окружающей среды поступают в атмосферу, а затем, выпадая на земную поверхность, накапливаются в верхних горизонтах почвы, вновь включаются в природные и техногенные циклы миграции.

Интенсификация сельскохозяйственного производства, динамичное развитие промышленности, транспорта и энергетики ведут к усилению антропогенной нагрузки на экосистемы. Загрязнение почвенного покрова ТМ приводит к ослаблению его устойчивости техногенезу, развитию деградационных процессов, снижению плодородия, а, следовательно, уменьшению продуктивности, как естественных, так и агрокультурных ландшафтов, что существенным образом влияет на объем и качество производительных ресурсов. Сельскохозяйственная продукция, выращенная на загрязненных почвах, часто оказывается токсичной из-за повышенного содержания ТМ [6].

Чернозем является сильным аккумулятором ТМ, в связи с этим, актуальной становится проблема разработки агромелиоративных мероприятий по санации техногенно загрязненных черноземов и получению безопасной продукции растениеводства.

На территории Рязанской области черноземы оподзоленные находятся в зоне воздействия энергетического комплекса Рязанская ГРЭС. Исследования влияния выбросов данного предприятия на окружающую среду показали превышение ПДК валовых форм ТМ в почве, а именно свинца на 56 % [1]. При сжигании бурого угля с летучей золой от ГРЭС, поступает ежегодно 2,6 т свинца. Рязанская ГРЭС негативно воздействует на экосистемы, как Пронского района, где она находится, так и на прилегающие к нему районы и, в частности, особенно сильно на экосистемы Кораблинского административного района, вследствие выбросов, содержащих тяжелые металлы, в атмосферу.

Целью нашей работы являлось изучение влияния приемов детоксикации чернозема оподзоленного, загрязненного свинцом, на аккумуляцию данного металла в почве.

ОБЪЕКТ ИССЛЕДОВАНИЙ И МЕТОДИКА

Для достижения поставленной цели были проведены натурные исследования в лизиметрах, заряженных черноземом оподзоленным и загрязненным солью свинца – $Pb(CH_3COO)_2$ – с концентрацией, соответствующей уровню загрязнения в зоне воздействия Рязанская ГРЭС, т.е. равной 15 мг/кг.

Обоснованием для использования в качестве загрязнителя свинца послужило то, что данный химический элемент не служит микроэлементом для растений и является приоритетным загрязнителем почв Рязанской области.

Было разработано пять вариантов опыта, с применением различных детоксикантов. Схема эксперимента представлена в таблице 1.

Таблица 1

Схема эксперимента

№ п/п	Вариант опыта
1.	Фон + Орошение
2.	Фон + Навоз КРС (100 т/га)
3.	Фон + Известь (8 т/га) + Навоз КРС (100 т/га)
4.	Фон + Известь (8 т/га)
5.	Фон + Минеральные удобрения (N60P60K60)

В течение вегетационного периода оптимальное увлажнение почвы (0,65 ППВ) поддерживалось поливом. Определение свинца в почве выполнено методом атомно-абсорбционной спектроскопии [4].

Полученные результаты свидетельствуют о том, что внесенные добавки детоксикантов, оказывают неодинаковое влияние на аккумуляцию свинца в черноземе оподзоленном (табл. 2).

Снижение уровня загрязнения чернозема оподзоленного свинцом при применении различных видов детоксикантов происходило на всех вариантах опыта. Наилучший результат был получен на третьем варианте опыта, где вносили известь (8 т/га) и навоз крупного рогатого скота (100 т/га).

Таблица 2

Содержание свинца в черноземе оподзоленном

№ п/п	Вариант опыта	Содержание свинца в почве (мг/кг)		
		Проба №1	Проба №2	Среднее значение
1.	Фон + Орошение.	15,00	13,75	14,375
2.	Фон + Навоз КРС (100 т/га).	12,50	11,25	11,875
3.	Фон + Известь (8 т/га) + Навоз КРС (100т/га)	10,00	10,00	10,00
4.	Фон + Известь (8 т/га).	11,25	12,50	11,875
5.	Фон + Минеральные удобрения(N60P60K60)	12,50	10,00	11,25

ВЫВОДЫ И РЕКОМЕНДАЦИИ

Таким образом, на основе экспериментальных исследований установлено, что при применении различных детоксикантов на черноземах оподзоленных (с фоном ТМ) – наименьшая аккумуляция свинца наблюдалась на удобрительной смеси Известь (8 т/га) +Навоз КРС (100 т/га).

В условиях небольшой степени загрязнения почвы свинцом, для получения экологически безопасной продукции и улучшения свойств черноземов оподзоленных рекомендуется применять комплекс мероприятий, включающих биологическую очистку и химическую детоксикацию почв.

ЛИТЕРАТУРА

1. Бочкарев Я.В., Тобратов С.А. Особенности воздействия выбросов Рязанской ГРЭС на агросистемы прилегающей территории // Современные энерго- и ресурсосберегающие, экологически устойчивые технологии и системы сельскохозяйственного производства: Сб. науч. тр., Вып. 4, - Ч.
2. Горбунова Н.С. Формы соединений марганца, меди, цинка, никеля, свинца и кадмия в черноземах центрально-черноземного региона. Автореф. дисс. канд.биол. наук, Воронеж – 2005.
3. Мажайский Ю.А. Экологические факторы регулирования водного режима почв в условиях техногенного загрязнения агроландшафтов. – М.: Изд-во МГУ, 2001, 227 с.
4. Методические указания по определению тяжелых металлов в почвах сельхозугодий и продукции растениеводства. М.: ЦИНАО, 1992, 61 с.
5. Нгуен Суан Хай. Мелиорация и восстановление плодородия деградированных почв: Автореф. дисс. докт. сельск. хоз. наук, М., 2003.
6. Тяжелые металлы в системе почва-растение-удобрение / Под общ. ред. М.М. Овчаренко. – М.: 1997, 289 с.

გარემოს დაცვა

შავმიწა ეწერი ნიადაგების დეტოქსიკაციის ხერხების გავლენა ნიადაგში დამაბინძურებლის აკუმულაციაზე

მაჟაისკი ი., ჩერნიკოვა ო.

რუსეთის FSIN- ის აკადემია

რიზანი, რუსეთი

ანოტაცია. ჩატარებულია ნატურული კვლევები ლიზიმეტრებში, რომლებშიც ჩატვირთული იყო ტყვის მარილით $Pb(CH_3COO)_2$ დაბინძურებული შავმიწა ეწერი ნიადაგები. დაბინძურების კონცენტრაცია შეესაბამებოდა რიზანის ელექტროსადგურის ზონის დაბინძურების კონცენტრაციას (15 მგ/კგ). კვლევა ჩატარდა ნიადაგში მეტალის აკუმულაციაზე დეტოქსიკაციის ხერხების გავლენის შესწავლის მიზნით. შემუშავებული იყო ცდების ხუთი ვარიანტი, სხვადასხვა დეტოქსიკანტების გამოყენებით. დაბინძურების დონის კლება ხდებოდა ცდის ყველა ვარიანტზე. საუკეთესო შედეგი მიღებული იქნა ცდის მესამე ვარიანტზე, სადაც ნიადაგში შეტანილი იყო კირი (8 ტ/ჰა) და მსხვილფეხა რქიანი საქონლის ნაკელი (100ტ/ჰა).

საკვანძო სიტყვები: დეტოქსიკაცია, შავმიწა ეწერი ნიადაგი, ტყვია, ლიზიმეტრები.

Protection of the environment

THE IMPACT OF DETOXIFICATION TECHNIQUES OF PODZOILED HUMUS ON ACCUMULATION OF THE POLLUTANT IN THE SOIL

Mazhaiskiy Yu.A., Chernikova O.V

Academy of FSIN of Russia

Ryazan, Russia

Annotation. In-situ researches were carried out in lysimeters charged with podzolized humus and contaminated lead by salt - $Pb(CH_3COO)_2$ - with a concentration corresponding to the level of pollution in the affected area of the Ryazan HPS, i.e. equal to 15 mg / kg, to study the impact of detoxification on the accumulation of this metal in the soil. Five variants of the experiment were developed, using various detoxicants: Background + Irrigation; Background + Manure of cattle (100 t / ha); Background + Lime (8 t / ha) + Manure of cattle (100 t / ha); Background + Lime (8 t / ha); Background + Mineral fertilizers (N60P60K60). Reducing the level of pollution occurred on all variants of the experiment. The best result was obtained in the third variant of the experiment, where lime (8 t / ha) and manure of cattle (100 t / ha) were introduced.

Keywords: detoxification, podzolized humus, lead, fertilizer system, lysimeters

**მართკუთხა ფილების დამონტაჟების თანმიმდევრობის
ბავლენა კონსტრუქციის დაბაბულ-დეფორმირებულ
მდგომარეობაზე**

მაძაღუა ზ., ტაბატაძე ა., ჯანყარაშვილი დ., მექვაბიშვილი ი.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას ქ. № 77, 0175, თბილისი, საქართველო
E-mail d.tabatadze@gtu.ge*

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია მართკუთხა ფილის დამონტაჟების ერთ-ერთი გაერცელებული მეთოდი: ფილის მონტაჟიკედლების ამოყვანის (ფილის კონტურის მოწყობის) შემდეგ, ამ დროს ფილა ოთხივე კილით თავისუფლად (სახსროვნად) არის დაყრდნობილი სასარგებლო (საექსპლოატაციო) დატვირთვა, ამ სქემის შესაბამისად აღძრავს მაქსიმალურ ჩაღუნვებს. შემდეგ გრძელდება კედლების ამოყვანა და ფილა ოთხივე კილით უკვე ხისტადაა ჩამაგრებული. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ფილაში, ამ ახალი სქემით ვითარდება ცოცვადობის დეფორმაციები - დამატებითი ჩაღუნვები. სრული მაქსიმალური ჩაღუნვა დროის ამ მომენტისათვის იქნება დრეკადი ჩაღუნვისა და ცოცვადობით გამოწვეული ჩაღუნვის ჯამი.

განხილული მართკუთხა ფილის დამონტაჟების თანმიმდევრობის გათვალისწინება, რაც გულისხმობს ბეტონის ცოცვადობის დეფორმაციების გამოვლენას, ფილის ჩაღუნვასა და, შესაბამისად დაბაბულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ზრდის, ამიტომ ფილის დამონტაჟების თანმიმდევრობის (ცოცვადობის მოვლენის) გათვალისწინება უაღრესად სასურველია.


საკვანძო სიტყვები: მართკუთხა ფილა; ცოცვადობა, აგების თანმიმდევრობა, მონტაჟი, დაბაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

შუსაგალი

ნაშრომში წარმოდგენილია რკინაბეტონის მართკუთხა ფილაში მაქსიმალური ჩაღუნვის განსაზღვრის წესი მისი აგების რიგის (აგების თანმიმდევრობის) და ბეტონის ცოცვადობის დეფორმაციების გათვალისწინებით, რაც ხდება ცოცვადობის დაძველების თეორიის საფუძველზე, რადგანაც რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის ეს თეორია საუკეთესოდ არის მიჩნეული.


პირითადი ნაწილი

ნაშრომში განხილულია მართკუთხა ფილის დამონტაჟების ერთ-ერთი გაერცელებული მეთოდი: ფილის მონტაჟიკედლების ამოყვანის (ფილის კონტურის მოწყობის) შემდეგ ხდება. ამ დროს ფილა ოთხივე კილით თავისუფლად (სახსროვნად) არის დაყრდნობილი და სასარგებლო (საექსპლოატაციო) დატვირთვა, ამ სქემის შესაბამისად აღძრავს მაქსიმალურ ჩაღუნვებს.



ნახ. 1

შემდეგ გრძელდება კედლების ამოყვანა და ფილა ოთხივე კილით უკვე ხისტადაა ჩამაგრებული. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ფილაში, ამ ახალი სქემით ფილაში, ვითარდებაცოცვალობის დეფორმაციები -დამატებითი ჩაღუნვები. სრული მაქსიმალური ჩაღუნვა დროის ამ მომენტისათვის იქნება დრეკადი ჩაღუნვისა და ცოცვალობით გამოწვეული ჩაღუნვის ჯამი.



ნახ. 2

ჯერ განვიხილოთ W_c -ს განსაზღვრის წესი საანგარიშო სქემის ქვესქემებად წარმოდგენის საშუალებით. ნახ. 1, ა-ზე წარმოდგენილია ე.წ. მოცემული სისტემა, ე.ი. ოთხივე კილით სახსროვნად დაყრდნობილი მართკუთხა ფილა, რომელზედაც მოქმედებს თანაბრადგანაწილებული დატვირთვა q ინტენსიურობით, ნახ. 1, ბ-ზე წარმოდგენილია ამ ფილის კვეთი, რომელიც მიიღება x ღერძზე გატარებული ვერტიკალური სიბრტყით.

როგორც უკვე აღნიშნეთ, W_c არის ფილის მაქსიმალური ჩაღუნვა, ხოლო φ_{y1} და φ_{y2} – მობრუნების კუთხეები შესაბამისად y_1 და y_2 ღერძების გარშემო.

W_c -ს განსაზღვრისათვის მოცემული სისტემა (ნახ. 1) წარმოვადგინოთ საანგარიშო სქემით (ნახ. 3), რომელიც აისახება ორი (ξ და η) ქვესქემების ერთობლიობით. ξ ქვესქემის მიხედვით ფილა დაყრდნობილია მარჯვენა და მარცხენა კიდეებით, ხოლო η -ს მიხედვით – წინა და უკანა კიდეებით. თანაბრად-განაწილებული დატვირთვა მოდებულია ξ ქვესქემის ფილაზე. ამ დატვირთვის მოქმედებით ξ ქვესქემის შესაბამისი ფილის მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე მობრუნების კუთხეები იქნებიან უფრო დიდი, ვიდრე ეს სინამდვილეშია, რადგან დაყრდნობა წინა და უკანა კიდეებით (ნახ. 3, η) ხელს უშლის ჩაღუნვის და ე.ი. მობრუნების კუთხეების თავისუფლად განვითარებას ξ ქვესქემის შესაბამის ფილაში. ეს ხელის შემშლელი ძალოვანი ფაქტორები აღნიშნოთ m_{y1} და m_{y2} თანაბრად განაწილებული მომენტებით. ცხადია, η ქვესქემაში ამ მომენტებს ექნებათ ξ ქვესქემის მიხედვით მოქმედი მომენტების საწინააღმდეგო ნიშნები, რადგანაც მოცემული სისტემის აღდგენისას (ნახ. 1, ა) ისინი უნდა აბათილებდნენ ერთმანეთს. ამ მომენტებს ეწოდებათ ურთიერთქმედების ძალოვანი ფაქტორები. ისინი ფიქტიური პარამეტრებია და იგულისხმება, რომ როგორც ξ , ასევე η ქვესქემით წარმოდგენილ ფილაზე მოქმედებენ როგორც გარე ძალოვანი ფაქტორები. დეფორმაციების თავსებადობის პირობას (ამ შემთხვევაში მობრუნების კუთხეების ტოლობას ξ და η ქვესქემების მიხედვით) ფილის y_1 ღერძის გარშემო ექნება სახე:

$$-\varphi_{y1}^{\xi m} \cdot m_{y1} + \Phi_{y1}^{\xi q} = \varphi_{y1}^{\eta m} \cdot m_{y1} \quad (1)$$

საიდანაც

$$m_{y1} = \frac{\Phi_{y1}^{\xi v}}{\varphi_{y1}^{\xi m} + \varphi_{y1}^{\eta m}}, \quad (2)$$

სადაც $\Phi_{y1}^{\xi q}$ არის y_1 ღერძის გარშემო მობრუნების კუთხე ξ ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია q ინტენსიურობის მქონე თანაბრადგანაწილებული გარეგანი დატვირთვისაგან. $\varphi_{y1}^{\xi m}$ არის y_1 ღერძის გარშემო მობრუნების კუთხე ξ ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია $\bar{m}_{y1}=1$ მომენტისაგან. აღნიშნოთ, რომ როგორც q , ასევე $\bar{m}_{y1}=1$ ξ ქვესქემის მიხედვით იწვევენ ფილის ღუნვას. $\varphi_{y1}^{\eta m}$ არის y_1 ღერძის გარშემო მობრუნების კუთხე η ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია $\bar{m}_{y1}=1$ მომენტისაგან და η ქვესქემის მიხედვით იწვევს ფილის გრეხას.


სრულიად ანალოგიურად განისაზღვრება m_{x1} , თუ გარეგან თანაბრად განაწილებულ დატვირთვას მოვდებთ γ ქვესქემის ფილაზე (ნახ. 4). ამ შემთხვევაში დეფორმაციების თავსებადობის პირობას (ე.ი. მობრუნების კუთხეების ტოლობას β და γ ქვესქემების მიხედვით) x_1 ღერძის გარშემო ექნება სახე:

$$-\varphi_{x1}^{\beta m} \cdot m_{x1} = \Phi_{x1}^{\gamma q} - \varphi_{x1}^{\gamma m} \cdot m_{x1} \quad (3)$$

საიდანაც

$$m_{x1} = \frac{\Phi_{x1}^{\gamma q}}{\varphi_{x1}^{\gamma m} + \varphi_{x1}^{\beta m}}, \quad (4)$$

სადაც $\Phi_{x1}^{\gamma q}$ არის x_1 ღერძის გარშემო მობრუნების კუთხე γ ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია q ინტენსიურობის მქონე თანაბრადგანაწილებული გარეგანი დატვირთვისაგან. $\phi_{x1}^{\gamma m}$ არის x_1 ღერძის გარშემო მობრუნების კუთხე γ ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია $\bar{m}_{x1}=1$ მომენტისაგან.



ნახ. 3.

ნახ. 4.


აღვნიშნოთ, რომ როგორც q , ასევე $\bar{m}_{x1}=1$ γ ქვესქემის მიხედვით იწვევენ ფილის ღუნვას. $\phi_{x1}^{\beta m}$ არის x_1 ღერძის გარშემო მობრუნების კუთხე β ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია $\bar{m}_{x1}=1$ მომენტისაგან და β ქვესქემის მიხედვით იწვევს ფილის გრეხას.

W_c -ს რეალური მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ვიყენებთ ნახ. 5-ზე წარმოდგენილ ქვესქემებს. ψ ქვესქემის მიხედვით ფილაზე მოდებულია როგორც მოცემული q ინტენსიურობის მქონე თანაბრადგანაწილებული დატვირთვა, ისე q^* ინტენსიურობის მქონე თანაბრად განაწილებული ურთიერთქმედების დატვირთვა, რომელიც ფიქტიური პარამეტრია და ქვესქემებში წარმოდგენილ ფირფიტებზე მოქმედებს როგორც გარე ძალოვანი ფაქტორი. ω ქვესქემით წარმოდგენილ ფირფიტაზე იმოქმედებს მხოლოდ ეს q^* ინტენსიურობის მქონე დატვირთვა. ამ უკანასკნელის განსაზღვრისათვის ვიყენებთ დეფორმაციების თავსებადობის პირობას (ამ შემთხვევაში c წერტილის ვერტიკალური გადაადგილების ტოლობას ψ და ω ქვესქემების მიხედვით):

$$-\delta_c^{\psi} q^* + \Delta_c^{\psi} = \delta_c^{\omega} q^* \quad (5)$$

საიდანაც

$$q^* = \frac{\Delta_c^{\psi}}{\delta_c^{\psi} + \delta_c^{\omega}} \quad (6)$$



ნახ. 5

ამ ფორმულებში Δ_c^ψ , δ_c^ψ და δ_c^ω წარმოადგენენ ურთიერთქმედების მომენტების გათვალისწინებით მიღებულ ვერტიკალურ გადაადგილებებს. ე.ი.

$$\begin{aligned} \Delta_c^\psi &= \Delta_c^{\psi q} - \Delta_c^{\psi m}; & \Delta_c^\omega &= \Delta_c^{\omega q} - \Delta_c^{\omega m}; \\ \delta_c^\psi &= \delta_c^{\psi q} - \delta_c^{\psi m}; & \delta_c^\omega &= \delta_c^{\omega q} - \delta_c^{\omega m}. \end{aligned} \quad (7)$$

სადაც $\Delta_c^{\psi q}$ არის ფილის c წერტილის ვერტიკალური გადაადგილება ანუ მაქსიმალური გადაადგილება ψ ქვესქემის მიხედვით, რომელიც გამოწვეულია ცენტრისურობის მქონე თანაბრადგანაწილებული დატვირთვისაგან; $\Delta_c^{\psi m}$ – ფილის c წერტილის ვერტიკალური გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია m_{y1} და m_{y2} ფიქტიური მომენტებით; $\delta_c^{\psi q}$ და $\delta_c^{\omega q}$ – ფილის c წერტილის ვერტიკალური გადაადგილებები შესაბამისად ψ და ω ქვესქემების მიხედვით, რომელიც გამოწვეულია $\bar{q} = 1$ ინტენსიურობის მქონე თანაბრადგანაწილებული დატვირთვით; $\delta_c^{\psi m}$ – c წერტილის ვერტიკალური გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია $\bar{m}_{y1} = 1$ და $\bar{m}_{y2} = 1$ მომენტებით ψ ქვესქემის მიხედვით; $\delta_c^{\omega m}$ – c წერტილის ვერტიკალური გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია $\bar{m}_{x1} = 1$ და $\bar{m}_{x2} = 1$ მომენტებით ω ქვესქემის მიხედვით.

(5)-ის მარჯვენა ნაწილის თანახმად, რომელიც გამოსახავს $W_{\max} = W_c$ -ს, ω ქვესქემის მიხედვით გვექნება

$$W_c = \delta_c^{\omega q^*} \quad (8)$$

აქვე აღვნიშნოთ, რომ ამოცანის სიმეტრიულობის გამო x და y ღერძების მიმართ (ნახ. 1,ა) პარამეტრები $|\Phi_{y1}| = |\Phi_{y2}|$, $|\Phi_{x1}| = |\Phi_{x2}|$, $|m_{y1}| = |m_{y2}|$ და $|m_{x1}| = |m_{x2}|$.

ოთხივე კიდით ხისტად ჩამაგრებული ფილის (ნახ. 2, ა) მაქსიმალური ჩაღუნვის განსაზღვრა ხდება ზემოთ წარმოდგენილი გზით, მაგრამ (1)-(8) ფორმულაში შემაჯავალი პარამეტრები შეესაბამებინან 2, ა ნახაზზე წარმოდგენილ სისტემას.

ცოცვადობის დეფორმაციები, რომლებიც იწვევენ ფილის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შეცვლას, ვითარდებიან ნახ. 2, ა-ზე გამოსახული სისტემის არსებობისას.

ამ დეფორმაციების გათვალისწინებას ვახდენთ ცოცვადობის დაძველების თეორიის საფუძველზე, რომლის დიფერენციალური განტოლების ერთ-ერთი ძირითადი სახეა [2]:

$$d\varepsilon_t^{br} = d\varepsilon_t + \varepsilon_t d\varphi_t \quad (9)$$

სადაც $d\varepsilon_t^{br}$ არის სრული დეფორმაციის ცვლილება დროის t მომენტისათვის; $d\varepsilon_t$ – დრეკადი დეფორმაციის ცვლილება დროის იმავე t მომენტისათვის; ε_t – დრეკადი დეფორმაცია

$$\varphi_t = \varphi_k (1 - e^{-\beta t}) \quad (10)$$

არის ცოცვადობის მახასიათებელი დროის t მომენტისათვის; φ_k – ცოცვადობის საბოლოო მახასიათებელი ანუ φ_t -ს მნიშვნელობა, როდესაც $t = \infty$; β – ცოცვადობის ზრდის სიჩქარის კოეფიციენტი. φ_k და β განისაზღვრებიან ექსპერიმენტებით და მოცემულია ცხრილებში ბეტონის ასაკისა და დამზადების პირობების გათვალისწინებით [3].

მე-(5) სისტემა გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$(\delta_c^w + \delta_c^o) q^* = \Delta_c^w. \quad (11)$$

$t > 0$ დროისათვის q^* გადაიქცევა დროის ფუნქციად, Δ_c^w მუდმივი სიდიდეა, რადგანაც გარე დატვირთვა მუდმივია.

ამიტომ (9)-ს გათვალისწინებით (11) მიიღებს სახეს:

$$(\delta_c^w + \delta_c^o) dq_t^* + (\delta_c^w + \delta_c^o) q_t^* d\varphi_t = \Delta_c^w d\varphi_t, \quad (12)$$

ანუ

$$(\delta_c^w + \delta_c^o) \frac{dq_t^*}{d\varphi_t} + (\delta_c^w + \delta_c^o) q_t^* = \Delta_c^w. \quad (13)$$

ამდიფერენციალური განტოლების ამოხსნა q_t^* -ს მიმართარის [4]:

$$q_t^* = \frac{\Delta_c^w}{\delta_c^w + \delta_c^o} (1 - e^{-\varphi_t}). \quad (14)$$

რადგანაც (6)-ის თანახმად

$$q^* = \frac{\Delta_c^w}{\delta_c^w + \delta_c^o},$$

ამიტომ

$$q_t^* = q^* (1 - e^{-\varphi_t}).$$

q_t^* -ს საბოლოო მნიშვნელობის, ე.ი. q_k^* -ს განსაზღვრისათვის ვსარგებლობთ მე-(10) განტოლებით:

$$\varphi_{t=\infty} = \varphi_k (1 - e^{-\beta \infty}) = \varphi_k \quad (15)$$

და (14) მიიღებს სახეს:

$$q_k^* = q^* (1 - e^{-\varphi_k}). \quad (16)$$

(8)-ს თანახმად ცოცვადობის გათვალისწინებით ნახ. 2, ა-ზე წარმოდგენილი სისტემისათვის გვექნება

$$W_c^k = W_c (1 - e^{-\varphi_k}), \quad (17)$$

ხოლო ფილის ჰეშმარიტი (შეცვლილი) მაქსიმალური ჩაღუნვა იქნება

$$W_{\text{მაქს}} = W_c + W_c^k. \quad (18)$$

ამ უკანასკნელის გამოყენებით განისაზღვრება მდუნავი მომენტები და განივი ძალები ფილის x და y ღერძებზე გამავალ კვეთებში დრეკადობის თეორიის ცნობილი ფორმულებით.

დასკვნა

ბეტონის ცოცვადობის დეფორმაციების გათვალისწინების შეფასების მიზნით ჩატარდა ფილის გაანგარიშება ნახ. 1, ა-ზე წარმოდგენილი სისტემის მიხედვით შემდეგი საწყისი მონაცემებით: $a=1$ მ; $b=2$ მ; $\nu=0,3$; $h=0,2$ კნ/სმ² და $E=3000$ კნ/სმ². გაანგარიშება ჩატარდა ცოცვადობის დეფორმაციების გათვალისწინების გარეშე, ე.წ. დატვირთვის დრეკად-მყისიერ სტადიაში ($t=0$). ამ დროს ფილის მაქსიმალურმა ჩაღუნვამ შეადგინა $W_c = 0,92$ სმ.

ნახ. 2, ბ-ზე წარმოდგენილმა სისტემამ $t=\infty$ დროისათვის ცოცვადობის დეფორმაციების გავლენის გამო მიიღო $W_c^t = 0,21$ სმ სიდიდის მაქსიმალური ჩაღუნვა.

ამგვარად, ნაშრომში განხილული მართკუთხა ფილის დამონტაჟების თანმიმდევრობის გათვალისწინება, რაც გულისხმობს ბეტონის ცოცვადობის დეფორმაციების გამოვლენას, მაქსიმალურ ჩაღუნვას ზრდის 23%-ით, ამიტომ ცოცვადობის მოვლენის გათვალისწინება უადრესად სასურველია.

ლიტერატურა

1. ზ. მაძალუა. მართკუთხა ფირფიტების გაანგარიშების გამარტივებული მეთოდი განაწილებული დატვირთვების მოქმედებისას. რეგისტრირებულია სტუ-ს სარედაქციო საბჭოს მიერ. თბილისი, 2008.170.გვ.
2. Кизирия Г.В. Определение усилий в комбинированных конструкциях с учетом деформации ползучести бетона. Сообщения АН ГССР, т. XXVIII, № 3, 1962. с. 72-76.
3. DIN 4227. Berlin, 1953. p. 115.
4. Выгодский.М.Я. Справочник по высшей математике. Изд. «Наука», 1964.с.45

ВЛИЯНИЕ ПОСЛЕДОВАТЕЛЬНОСТИ МОНТАЖА ПРЯМОУГОЛЬНЫХ ПЛИТ НА НАПРЯЖЁННО-ДЕФОРМИРОВАННОЕ СОСТОЯНИЕ КОНСТРУКЦИИ

З. Мадзагуа, А. Табатадзе, Д. Джанкарашвили, И. Меквабишвили

*Грузинский технический университет,
Тбилиси, Грузия*

Аннотация. В работе рассмотрен один из наиболее распространенных способов монтажа прямоугольной плиты: после возведения стен (устройства контура плиты) производится монтаж плиты. В это время плита всеми четырьмя гранями свободно (шарнирно) опёрта. Полезная (эксплуатационная) нагрузка, согласно этой схемы, вызывает максимальные прогибы. Затем продолжается возведение стен и плита уже всеми четырьмя сторонами жёстко закреплена. Через некоторое время в плите, согласно этой новой схеме, развиваются деформации ползучести, дополнительные прогибы. Полный максимальный прогиб с этого момента времени будет суммой упругого и вызванного ползучестью прогибов.

Учёт последовательности монтажа рассмотренной прямоугольной плиты предусматривает влияние деформаций ползучести бетона, прогиб плиты и, соответственно, значительное увеличение напряжённо-деформированного состояния. Поэтому, желательно учитывать последовательность монтажа (явлений ползучести) плиты.

Ключевые слова: прямоугольные плиты; ползучесть; последовательность монтажа, напряжённо-деформированное состояние.

IMPACT OF THE SEQUENCE OF INSTALATION OF RECTANGULAR SLAB ON THE MODE OF DEFORMATION OF THE STRUCTURE

Z. Madzagua, A. Tabatadze, D. Jankarashvili, I. Mekvabishvili

*Georgian Technical University,
Tbilisi, Georgia*

Annotation. In the article is considered one of the most common ways of installation of a rectangular slab: after the walling (arrangement of the slab contour) performs the installation of slab. At this time, the tile with all four faces is free (articulated) support. At this slab by all four edges simply (hinged) is supported. The useful (operational) load according to this scheme causes maximum deflections. Then continues the walling, and the slab is rigidly attached by all four sides. After a certain time in the slab according to this new scheme develops creep deformations, additional deflections. The total maximal deflection from this point of time will be the sum of the elastic and developed due creeping deflections. Rectangular slab, Instalation, Mode of Deformation of Structure,

Accounting for the sequence of installation of the considered rectangular slab that involves the impact of creep deformations of concrete, deflection of the slab and, accordingly, a significant increase in the mode of deformation. Therefore, it is desirable to take into account the sequence of installation (creep phenomena) of the plate.

Keywords: rectangular slab, Instalation, Mode of Deformation of Structure, deflection, Structure of Instalation.

გარემოს დაცვა. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

საქართველოს „მთის კანონის“ გეოგრაფიული თავისებურებანი

ნ. მელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, თბილისი, საქართველო

E-mail: natia.meladze@ens.tsu.edu.ge

ანოტაცია. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება საქართველოს არსებითი პრობლემაა. მათ შორისაა მთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაცია, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება, კულტურული და ეთნიკური ფასეულობების დეგრადაცია, სოციალური, მოსახლეობის სიდუხჭირე და სხვ. თითქმის დაცლილია რაჭის, ხევსურეთის, თუშეთის, მთიულეთის, ხევის და სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციათა სოფლები. საქართველოში ამ პრობლემების პრევენციისთვის 1999 წელს მიიღეს „მთის კანონი“, თუმცა ის მხოლოდ 2016 წელს ამოქმედდა. კანონი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მისი მოქმედების არეალი არაერთ გეოგრაფიულ ფაქტორს ითვალისწინებს. კანონის მეშვეობით მთის მოსახლეობა იღებს სხვადასხვა სოციალურ შეღავათს, საპენსიო თუ სახელფასო დანამატს.

მთის კანონის ეფექტურობა რამდენიმე საკითხის განხილვას მოითხოვს, რომელთა შორისაა: ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მთიანი რეგიონების საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზი; „საქართველოს მთის კანონის“ შინაარსობრივი ანალიზი და მისი მოქმედების გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა; საქართველოს მთის კანონის მოქმედების არეალში მოქცეული სოფლების მოსახლეობის დინამიკა (1989 – 2017 წლებში) და მათი გეოგრაფიული მახასიათებლების ანალიზი; „მთის კანონის“ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების და მისგან განპირობებული შესაძლებლობების კვლევა.

ჩვენ მიერ განსაზღვრულ იქნა მთიანი ტერიტორიების განვითარებისა და „მთის კანონის“ ეფექტურობის პერსპექტივები, რომლებიც შეცვლის ან შეამსუბუქებს იმ რთულ მდგომარეობას, რომელიც დღეს არის საქართველოს მთიანეთში. მათგან აღსანიშნავია: ცენტრალურ ადგილთა თეორია, ანუ მთებში მიზიდულობის ცენტრების გაჩენა. აღნიშნული ცენტრები მოახდენს მთიანი ტერიტორიების თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, თავისუფალი ეკონომიკური ზონების გაჩენა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური რეგულირების გამარტივებულ რეჟიმს შესთავაზებს მთის მოსახლეობას. ასევე, კანონის განხილვა რეგიონულ ჭრილში (კანონი კავკასიონის, მცირე კავკასიონის შესახებ).

საკვანძო სიტყვები: მთის კანონი, მიგრაცია, გეოგრაფია, საერთაშორისო გამოცდილება, ალპური კონვენცია.

შესავალი

მთიანი რეგიონები რამდენიმე პრობლემის მოგვარებას მოითხოვს. მათ შორისაა უზოობაა, დასახლებათა ფრაგმენტულობა, გეოდინამიური პროცესები, კავშირგაბმულობის დაბალი დონე, სამედიცინო მომსახურება, შემოსავლები და სხვ. მთაში კატასტროფული მასშტაბი მიიღო მოსახლეობის მიგრაციამ, რამაც გაზარდა დაცარიელებული სოფლებისა და ნასოფლარების რაოდენობა. საქართველოს „მთის კანონი“ ამგვარი პროცესების პრევენციის მიზნით იქნა მიღებული, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა. მთელ რიგ შემთხვევებში არაა გათვალისწინებული რეგიონული სპეციფიკა, კლიმატური და ეკოლოგიური თავისებურებები, მოსახლეობის საქმიანობის ფორმები და სხვ. ვითარების გამოსწორება მოითხოვს მთის და ბარის რეგიონებს შორის კავშირების გამყარებას, შეღავათები მრეწველობის განვითარებისათვის, პოლიცენტრული ადგილების განვითარებას, სოციალური ინფრასტრუქტურის გამართვას და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები პრიორიტეტულად არის მიჩნეული. ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის 10% უშუალოდ არის დამოკიდებული მთის რესურსებზე. მთიანი რეგიონები ყველგან განეკუთვნება ეკონომიკურად დეპრესიულ ზონას. მთიანეთის პრობლემების გააზრებისა და მოვლის ამოცანებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, ამიტომაც ჩვენთვის საინტერესოა განვითარებული ქვეყნების ტრადიციები და მიდგომები.

მთიანი რეგიონები განსაკუთრებული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გარემოთი გამოირჩევა. მსოფლიოს მთიანი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ცნობილია მკაცრი კლიმატური პირობებით, მიწის რესურსების სიმწირით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურით, დაბალი შემოსავლებით და განვითარების უპესპექტივობით. თუმცა არის ადგილები (ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა), სადაც მთებში მცხოვრები მოსახლეობა თავს კომფორტულად გრძნობს, რადგან აქ მიმზიდველი სოციალურ-ეკონომიკური გარემოა შექმნილი.

ადამიანი მთებში ათასობით წლის მანძილზე ცხოვრობს და საქმიანობს, ქმნის ბუნებისა და საზოგადოების თანაცხოვრების განუმეორებელ ფორმებს, კულტურასა და ჩვეულებებს. მთები ჯერ კიდევ გამოირჩევა ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოთი, მტკნარი წყლის უდიდესი რესურსებით, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, კულტურული და ბუნებრივი მცენარეულობის ენდემური სახეობებით, სოფლის მეურნეობის, არქიტექტურის, ეთნოკულტურის განუმეორებელი და საინტერესო ფორმებით. მიუხედავად ასეთი მიმზიდველობისა, მთიანი ტერიტორიების უდიდეს ნაწილში მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში და თითქმის სრულ იზოლაციაში ცხოვრობს. ფართო მასშტაბებს მიაღწია მიგრაციულმა პროცესებმა, რის გამოც არაერთ მთიან რეგიონს გაუდაბურება ემუქრება.

ამგვარ ვითარებაში, თანამედროვე მსოფლიოში დღის წესრიგში აქტიურად დადგა მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს მომავალი თაობებისთვის ხელსაყრელი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს ფორმირებას. ამგვარი განვითარების მიღწევა მხოლოდ განათლებული, ჯანსაღი და

მოტივირებული საზოგადოების პრეროგატივაა, რომლის ფორმირებაში არსებითი როლი ინტერდისციპლინურ და სისტემურ მეცნიერებებს ეკუთვნის (ელიზბარაშვილი, 2018).

მთები დიდ როლს თამაშობდნენ და თამაშობენ კაცობრიობის ისტორიასა და განვითარებაში. ისინი წარმოადგენენ წყლის, ტყის და არაერთი მინერალური რესურსის არსებით წყაროს, ბიოლოგიური და ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეულ არეალს, რეკრეაციული მეურნეობის მაღალი პოტენციალის მქონე ტერიტორიას. ამჟამად, მსოფლიო მოსახლეობის 10% ცხოვრობს მთებში, ხოლო სამჯერ მეტი იყენებს მთებში ფორმირებულ ბუნებრივ რესურსებს (განსაკუთრებით წყალს).

მთებში არამდგრადი ბუნებრივი გარემოა, რაც რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. ესენია: მაღალი ტემპერატურული ამპლიტუდა (რაც ფიზიკურ გამოფიტვას უწყობს ხელს), დაბალი წნევა, ექსპოზიციური სხვაობები, წყლისმიერი ეროზია, თოვლის დიდი საფარი, რელიეფის დახრილობა, ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე. ამის გამოა, რომ ადამიანის ზემოქმედების შედეგად, მთის ეკოსისტემები კარგავენ მდგრადობას და განიცდიან ძლიერ დეგრადაციას. მთებში შესუსტებულია ბუნებრივი გარემოს თვითაღდგენის მექანიზმებიც.

მთიან ტერიტორიებს მსოფლიოს ხმელეთის თითქმის მეოთხედი უკავია, რომლის მიმდებარე გორაკ-ბორცვებსა და ვაკეებზე ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 40%. ამრიგად, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი დამოკიდებულია მთებიდან მიღებულ წყალსა და ენერჯიაზე, კვების პროდუქტებსა და ტყის რესურსებზე (ელიზბარაშვილი, 2016).

მთები წარმოდგენილია ყველა კონტინენტზე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მდებარეობის, ფართობის, სიმაღლის, ოროგრაფიის, ბუნებრივი პირობების, სიმაღლებრივი სარტყლოების, ბარიერული თვისებების, წარმოშობის, განვითარების, ბიომრავალფეროვნების, ჰავის, რესურსების, მოსახლეობის, გეოპოლიტიკური ვითარების, განვითარების დონის და სხვა არაერთი მაჩვენებლის მიხედვით. მთებში სპეციფიკური ფორმითაა გადაჯაჭვული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების თავისებურებებსა და პრობლემებზე.

მსოფლიო თანამეგობრობა ერთხმად აღნიშნავს, რომ მიუხედავად გაეროს მოწოდებებისა და მთების მდგრადი განვითარებისთვის არაერთი ნაციონალური პოლიტიკის გატარებისა, ამჟამად, დადებითი ცვლილებები ნაკლებად აღინიშნება. მიიჩნევა, რომ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროში გატარებული ღონისძიებები და ინვესტიციები შორსაა სასურველი დონიდან. ამასთან ერთად, გლობალიზაციის პროცესები, კლიმატის ცვლილება და მთებში მოსახლეობის ზრდა მოითხოვს სიღრმისეულ ცვლილებებს. არადა, ნეგატიური პროცესები სახეზეა - მთიანი ტერიტორიების მოსახლეობა ხასიათდება მასიური სიღარიბით, იზრდება კატასტროფული ხასიათის ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობა, გაიზარდა ნიადაგების დეგრადაციის მასშტაბები, აღინიშნება წყლის რესურსების შემცირება, ხოლო მიგრაცია და სასურსათო უსაფრთხოება კვლავ რჩება მთიანი რეგიონების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად (ელიზბარაშვილი და სხვ. 2018).

მთებს მსოფლიოს 53 ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია, ხოლო 45 ქვეყნის საერთო ფართობის 25 – 50%. მთებში წარმოდგენილია ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიის 20%, რაც განპირობებულია მაღალი ბიოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მრავალფეროვნებით, რელიგიური ობიექტების მრავალი ადგილსამყოფელით, მაღალი პოტენციალის მქონე რეკრეაციული რესურსებით.

მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პრობლემატიკა მკვეთრად განსხვავდება ეკონომიკურად განვითარებადი და განვითარებული რეგიონების მიხედვით. კერძოდ:

განვითარებული ეკონომიკის მქონე მთიანი რეგიონები ორიენტირებულნი არიან მთის რესურსებისა და ეკოლოგიური გარემოს რეკრეაციულად მდგრად გამოყენებაზე, რაც განაპირობებს მთის ეკოსისტემების მაღალ მიმზიდველობას.

განვითარებადი ეკონომიკის მქონე მთიანი რეგიონები ორიენტირებულნი არიან მიწის და ტყის რესურსების ენერგეტიკული მიზნებით წყლის რესურსების, საძოვრების და მინერალური რესურსების ინტენსიურ გამოყენებაზე. ამგვარი ვითარება მთის ეკოსისტემებისა და ნიადაგების დეგრადაციის წინაპირობაა, რაც გაუსაძლისს ქმნის საცხოვრებელ გარემოს და მოსახლეობის მასიური მიგრაციის მიზეზი ხდება (ელიზბარაშვილი და სხვ., 2018).

მთიანი ტერიტორიების განვითარების მაგალითად „ალპური კონვენცია“ გამოდგება, რომელიც უზრუნველყოფს მასში გაწვერიანებული ქვეყნების ერთიან სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. „ალპური კონვენცია“ გულისხმობს ალპების (როგორც ერთიანი მრავალეროვანი ტერიტორიის) დაცვისთვის საერთაშორისო ძალისხმევას.

საქართველოში მთიანი ტერიტორიების საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა 1999 წლიდან იწყება, როდესაც მიიღეს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. აღნიშნული კანონი შედგენილ იქნა ალპური კონვენციის წესდების შესაბამისად და მიზნად ისახავდა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას. თუმცა, აღნიშნულ კანონში არსებულმა რეგულაციებმა ვერ უზრუნველყო საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მიზნის მიღწევა და შესაბამისი შედეგების ამოქმედება მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის.

საუბარი „მთის კანონთან“ დაკავშირებით მოგვიანებით კვლავ გააქტიურდა, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, ხოლო მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, კანონი ადგენს შედეგებს. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმის განაწესიდან და მთიანი ტერიტორიების თანამედროვე რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, 2015 წელს მიიღეს კანონი მთის შესახებ, რომელმაც ფუნქციონირება 2016 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა დანამატებსა და შედეგებს დენის, გაზის, მიწის და სხვა გადასახადებთან მიმართებაში.

როგორც ირკვევა, „მთის კანონით“ და მასში არსებული შედეგებით ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა სარგებლობს. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იქ არსებული რელიეფის ფორმების და სხვა გეოგრაფიულ თავისებურებებს, აქ შესაძლებელია მნიშვნელოვნად განვითარდეს სოფლის მეურნეობა, რაც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდება, განსხვავებით საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისაგან.

2014 წლის აღწერის მონაცემების გამოთვლის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთის კანონში შემავალი სოფლების მიხედვით, ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, განსაკუთრებით კი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მთის კანონში შემავალ სოფლებში მუნიციპალიტეტის ფარგლებში დაახლოებით 45000 მცხოვრებია, ჯამში კი სამცხე-ჯავახეთის მთიან რეგიონებში მოსახლეობა დაახლოებით 104413-ია. რაც შეეხება მცხეთა-მთიანეთს, აქ მთის კანონით გათვალისწინებულ სოფლებში ჯამში დაახლოებით 20858

მცხოვრებია. მოსახლეობის მონაცემს თუ შევადარებთ სოფლების რაოდენობას (375 დასახლებას მოიცავს „მთის კანონი“), აღმოჩნდება, რომ სოფლების უმეტესობა თითქმის დაცლილია.

საქართველოში 2014 წლისათვის 223 უკაცრიელი სოფელი იყო. ამასთან, ყველაზე მეტი მოდიოდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც 111 სოფელია და მათში თითო-ორი ადამიანი ცხოვრობს. 71 სოფელში 5 ან ნაკლები მცხოვრებია, ხოლო 39-ში 6-დან 10 კაცამდეა. ყველაზე სავალალო მდგომარეობაა დუშეთის რაიონში, რომლის 93 სოფელში 10 კაცზე ნაკლები მცხოვრებია. აღსანიშნავია, რომ გურია იმ რეგიონს წარმოადგენს, სადაც 2014 წლისათვის არც-ერთი უკაცრიელი სოფელი არ იყო. წლიდან-წლამდე უკაცრიელი სოფლების რაოდენობა საქართველოში მატულობს. მხოლოდ 2002 წლის შემდეგ 2014 წლამდე საქართველოში 60-ზე მეტი სოფელი გაუკაცრიელდა. 2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 255 სოფელია, სადაც 10 კაცზე ნაკლები ცხოვრობს. შესაძლოა, ძალიან მალე ისინი შეუერთდეს იმ 223 სოფელს, რომლებიც გაუკაცრიელებულია.


მთის კანონის რეგიონული თავისებურებების მიხედვით მთიანი დასახლებული პუნქტების რაოდენობით გამორჩეულია მცხეთა-მთიანეთი, შემდეგ მას მოსდევს რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი. პირველ ორ რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობა ძალიან მძიმეა, უმეტესი მთის სოფლებისა დაცლილია, ხოლო სამცხე-ჯავახეთის მთიან სოფლებში დემოგრაფიული მდგომარეობა შედარებით სტაბილურია. მთიანი დასახლებების სიმწირის მიხედვით აღსანიშნავია გურიის რეგიონი, სამეგრელო და იმერეთი. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული რეგიონების დიდი ნაწილი ხვდება კოლხეთის დაბლობის ფარგლებში.

დასკვნა


როგორც აღვნიშნეთ თემაზე მუშაობის პროცესში მოხდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოკვლევა, შეჯამება და შედარებითი ანალიზი. ესენია:

- ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მთიანი რეგიონების საკანონმდებლო რეგულაციების განხილვა და შედარებითი ანალიზი. განხილულ იქნა შვეიცარიის, იაპონიის, კანადის მთიანი რეგიონების დაგეგმარების სტრუქტურა და მახასიათებლები. ვფიქრობ, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია. რაც დადებითად აისახება საქართველოს მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ეკოლოგიური მდგრადობის თავისებურებებზე; ყველაზე კარგ მაგალითს წარმოადგენს შვეიცარია, რომელიც დღემდე აგრძელებს ლიდერობას მთიანეთის განვითარების სფეროში. ამ ქვეყნის პოლიტიკა მოიცავს მთიანეთში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, სწორ სატრანსპორტო პოლიტიკას, შერჩევითი-მისამართიან ფინანსირებას და საგადასახადო შეღავათებს. ასევე შვეიცარიას აქვს კანონი როგორც ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის, ასევე ცალკეული კანტონებისთვისაც. ასევე სახელმწიფო გასცემს „იაფ სესხებს“ მთაში მცხოვრები მოსახლეობისთვის იმისათვის, რომ მათ დაიწყონ წარმოება და მთიანეთის აღორძინება. ვფიქრობ, აღნიშნული რეგულაციები ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენს ქვეყანასაც.

- „საქართველოს მთის კანონის“ შინაარსი და მისი მოქმედების გეოგრაფიული თავისებურებები; ასევე მოხდა იმ სოფლების და რეგიონების გეოგრაფიული ანალიზი და შედგენილ იქნა რუკა რეგიონებისა, რომლებიც წარმოადგენს „საქართველოს მთის კანონის“ მოქმედების არეალს;



• საქართველოს მთის სოფლების მოსახლეობის დინამიკას (1989 – 2017 წლებში) - ასევე 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით შედგენილ იქნა რუკა, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის კონცენტრაციას მუნიციპალიტეტების მიხედვით.



• სოციოლოგიური გამოკითხვისა და ანალიზის გზით მოხდა „მთის კანონის“ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის (თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ნაქალაქარი) დამოკიდებულების კვლევა. სოფლის მოსახლეობასთან საუბარში „მთის კანონთან“ დაკავშირებით ირკვევა, რომ მოსახლეობის 29% ნაწილობრივ იცნობს „მთის კანონს“. აღსანიშნავია, რომ ეს ცოდნა ძირითადად უკავშირდება დენის გადასახადის განახევრებულ მაჩვენებელს და ასევე პენსიის დანამატს. 44% თვლის რომ იცნობს „მთის კანონს“. 21% საერთოდ არ იცნობს. მთის კანონზე საუბრისას მოსახლეობის 12% ფიქრობს, რომ კანონი აკმაყოფილებს მათ საჭიროებას, 35% თვლის, რომ კანონი ნაწილობრივ პასუხობს მათ საჭიროებებს, ხოლო 53% თვლის, რომ კანონი საერთოდაც არ პასუხობს საჭიროებებს. ცხოვრების ხარისხზე

ზემოქმედების მიხედვით: 10% თვლის, რომ კანონის მიღების შემდეგ მათი ცხოვრება გაუარესდა, 32% თვლის, რომ შეიცვალა უკეთესობისკენ, ხოლო 58% თვლის, რომ კანონს არაფერი შეუცვლია მათ ცხოვრებაში.

ლიტერატურა

1. ნ. ელიზბარაშვილი. გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები. თბ., 2016.
2. ნ. ელიზბარაშვილი, გ. მელაძე, ჰ. მესენი, ა. ხოციანი, ტ. კოლერი. „მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება“, თბ., 2018.
3. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის.
4. საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკური მიმოხილვა "მაღალმთიანი რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი პირობები" (ევროპული გამოცდილება), 2006 წ.
5. სტატია „მსოფლიოს მთიანი რეგიონების განვითარების გამოცდილება“, მანანა სეხნიაშვილი (mastsavlebeli.ge);
6. მაღალმთიანი სოფლების სრული სია (matsne.ge);
7. „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, 2015 წ.
8. „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, 1999 წ.
9. გ. წულაძე, ა. სულაბერიძე "საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები";
10. მ. ფუტყარაძე „საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის შიდა რეგიონული თავისებურებები“;
11. პრეზენტაცია „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ ;
12. <http://www.geostat.ge/>;
13. <http://www.mrdi.gov.ge/ge/news/announce>;
14. <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6213&lang=geo>.

Environmental protection, Earth sciences

THE LAW OF GEORGIA MOUNTAINS GEOGRAPHICAL PECULIARITIES

N. Meladze

*I. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia*

Annotation. Sustainable development of mountainous regions is a major problem of Georgia. Among them are migrations from mountainous regions, irrational use of natural resources, degradation of cultural and ethnic values, hardship of social population, etc. Villages of Racha, Khevsureti, Tusheti, Mtieleti, Khevi and other historical - geographical provinces are almost empty. "Mountain Law" was adopted in 1999 to prevent these problems in Georgia, but it was only operational in 2016. The law applies to the entire territory of Georgia. The area of its action envisages many geographical factors. Through the law, the mountain population receives various social benefits, pension or salary supplements.

The efficiency of the mountain law requires consideration of several issues, including the study of legislative regulations of the mountainous regions in European developed countries and comparative analysis

with the relevant legislation of Georgia; Content analysis of "Mountain Law of Georgia" and study of geographical features of its action; Dynamics of the population of villages in the area of mountain law of Georgia (1989 - 2017) and analysis of their geographical characteristics; Study on the dependence of local population towards the mountain law and the possibilities determined by it.

We have determined the prospects for the development of mountainous areas and effectiveness of mountain law that will change or mitigate the difficult situation that is today in the mountainous country of Georgia. It is worth mentioning: the central location theory or the emergence of attraction centers in the mountains. These centers will have equal socio-economic development of mountainous areas, the emergence of free economic zones that will promote the simplified economic regulation of the mountain population. Also, the review of the law in the regional context (Law on the Caucasus, Small Caucasus).

Keywords: mountain law, migration, geography, alpine convention.

**Охрана окружающей среды;
Исследования по изучению Земли**

ГЕОГРАФИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ГОРНОГО ЗАКОНА ГРУЗИИ

Н. Меладзе

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили
Тбилиси, Грузия

Аннотация. Устойчивое развитие горных регионов является серьезной проблемой Грузии из за миграции из горных районов, нерационального использования природных ресурсов, деградации культурных и этнических ценностей, отсутствия населения и т. д. - почти пустые деревни Рача, Хевсурети, Тушети, Мтиулети, Хеви и других историко-географических провинций. «Горный закон» был принят в 1999 году для предотвращения этих проблем в Грузии, но он начал действовать только в 2016 году. Закон распространяется на всю территорию Грузии. Область его действия предусматривает множество географических факторов. По закону горное население получает различные социальные пособия, пенсии или зарплатные добавки.

Эффективность горного закона требует рассмотрения нескольких вопросов, включая изучение законодательных положений горных регионов в европейских развитых странах и сравнительный анализ с соответствующим законодательством Грузии; содержательный анализ «Горного закона Грузии» и изучение географических особенностей его действия; динамику численности населения сел в области горного закона Грузии (1989 - 2017 гг.) и анализ их географических характеристик; изучение зависимости местного населения от горного закона и возможностей, определяемых им.

Определены перспективы развития горных регионов и эффективность горного закона, которые изменят или смягчат сложную ситуацию, которая сегодня находится в горной стране Грузии. Необходимо отметить: центральную территорию местоположения или появление центров притяжения в горах. Эти центры будут иметь равное социально-экономическое развитие горных районов, появление свободных экономических зон, которые будут способствовать упрощенному экономическому регулированию горного населения. Кроме того, обзор закона в региональном контексте (Закон о Кавказе, Малом Кавказе).

Ключевые слова: горный закон, миграция, география, альпийская конвенция.

HYDROCHEMICAL CHARACTERISTICS OF WATER IN THE VILESHCHAY RESERVOIR

Memmedova J.A.

"Azersu" Open Joint Stock Company
Moscow avenue 67, AZ1012, Baku, Azerbaijan
"Sukanal" Scientific-Research and Design Institute
Moscow avenue 73, AZ1012, Baku, Azerbaijan
E-mail: ceyhune.memmedova@gmail.com

Annotation. Vileshchay water reservoir was constructed in Lankaran for effectively utilizing water sources and water resources and meeting the needs of water for different sectors. Water reservoir is multifunctional and it used for irrigation, drinking water supply and recreational purposes. This paper presents an overview of analysis on natural hydrochemical regime of water reservoir. Uneven distribution of water resources, changes in river flow in different years makes it inevitable to construct water reservoir.

Keywords: water reservoir, hydrochemical regime, Vileshchay.

GENERAL INFORMATION ABOUT VILESHCHAY WATER RESERVOIR

The Vileshchay water reservoir was built in 1986 in Gariblar village of Masalli region. Thus, water supply of 11,000 hectares of land in Masalli region has been improved. The total capacity of the reservoir is 46 million m³, the useful capacity is 38 million m³, the dead capacity is 8 million m³, the water surface is 750 hectares, the length of the dam is 1700 m. Its maximum water release capacity is 838 m³/h and normal water release capacity is 389 m³/h. Its maximum depth is 29.35 m. The irrigation water is transmitted to the right coastal reinforced concrete canal and left-hand canal through 2 tubes with diameters of 1400 mm. The type of the water reservoir is as canal, besides clayed groundwater, in its construction additional rock, gravel and pebble have been used. Warehouse is built for irrigation, but is also used as a drinking water source [2]. The reservoir is located at a height of 365 m above sea level. There are five settlements around it.

The water reservoir is surrounded by forests starting from the protected zone (7.2 hectares) to Dambalov village. The total area of these forests is 4.9 thousand hectares. The main part of these species are chestnut oak, hornbeam, oak, peanut, pebble, plum, iron tree, medlar, lankaran acacia, freewill, shumshad. The presence of endemic species in forests increases its touristic and recreational importance. Vileshchay water reservoir is the main source of water supply for Masalli.

Water and hydrochemical regime of Vileshchay.

Vilesh and Matara rivers, as well as underground water is a source for the water reservoir.

Vileshchay originates from the northwestern slope of the Talysh Range at an altitude of 1880 m and falls into the Gizil Agac. Its length is 115 km, the basin area is 935 km² and the average height is 987 m, the river's network density is 0.92 km/km² and the average slope of the river is 16.6 ‰. The river has 8 main tributaries.



Fig. 1. Vilashchay water reservoir




Fig. 2. Hydrographs of Yardimli and Shixlar points

Vilashchay is rich with floods. In its downstream, 73% of annual flows come from rainfall and 27% from groundwater. When it comes to its upstream, the main source is rainfall, which is 60%, snowfall which is 6% and underground water which is 34% [4].

The average perennial water consumption at various hydrological stations on Vilashchay ranges from 1,27 -4,94 m³/h, maximum flood consumption is 78.5-396 m³/h, and minimal water consumption varies from 0.012 to 0.36 [1].

According to O.A.Alyokine's classification, taking into account all anions, all natural waters are divided into three classes: with hydrocarbonate, sulphate and chloride [6]. Each class, in turn, is divided into three groups according to the predominant cations: with calcium, sodium and magnesium. The hydro-chemical properties of river water are primarily related to the soil cover, geological structure and climatic features of the river basin.

Thermal activity of the structural barrier is connected with the phenomenon of absorption and release of heat, which occurs under conditions of dynamic heat effect on building structures. One of such processes is mutual effect of floor structure, with particular focus on the effect of flooring on human foot and the related thermal sensations.

This problem has been paid relatively little attention in the technical literature, although the process substantially affects sensations connected with the comfort of building use. Flooring thermal absorption capability, which characterizes capability of the structure to transfer heat to human feet, depends on the design and, in particular, the type of material used for the surface layer of floors. Thermal-absorption properties of flooring, including wood flooring made from various types of wood and comparison of these properties to other materials will be discussed later in the study.

Thermal activity of a building barrier is mainly determined by the materials used, with particular focus on the following physical parameters of these materials: specific heat c_p , thermal conductivity λ , thermal diffusivity a , thermal absorption s_{24} .

Thermal diffusivity a expresses the speed at which temperature in the material is evenly distributed. Therefore, this coefficient is used during e.g. analysis of unsteady thermal processes that occur in the structures with variable thermal effect. With higher values of thermal diffusivity a during heating or cooling of the material, the temperature is equalized in various points at a faster rate (leading to stabilization of thermal conditions). Wood is the material with especially good properties. It is characterized by several-time higher values of thermal diffusivity a compared to many other building materials, with particular focus on structural materials, which substantially affects good thermal stability of wooden structures. This property is slightly deteriorated only in the places where heat is transferred along the wood grain as a result of the increase in the value of thermal conductivity. Thermal diffusivity of wood decreases with its humidity.

Thermal absorption is another parameter used during analysis of unsteady thermal conditions that occur in building structures. It characterizes material ability to absorb heat during temperature fluctuations on the material surface. Therefore, the increase in thermal absorption s_{24} leads to the increase in the intensity of the process.

Another parameter connected with the phenomenon of thermal absorption is thermal accumulation b , measured in $W/(m^2 K)$ or thermal accumulation B , measured in $Ws^{1/2}/(m^2K)$. They are used e.g. during evaluation of upper layers of flooring to receive heat from human feet.

Floors, especially with wood flooring, are characterized by very good properties of thermal absorption since wood thermal activity coefficient is one of the lowest among the materials used in this structural component. For the pine wood, it ranges from 450 to 480 $Ws^{1/2}/(m^2 K)$ for heat flow transversely to grains and from 700 to 730 $Ws^{1/2}/(m^2 K)$ for heat flow along the grains. Furthermore, for the oak wood, this coefficient is higher, ranging from 600 to 680 $Ws^{1/2}/(m^2 K)$ for heat flow occurring transversely to grains and from 800 to 900 $Ws^{1/2}/(m^2 K)$ for heat flow along the grains.

Wood flooring is considered as warm flooring i.e. if the foot is in contact with the floor, after initial sensation of cold, the temperature in the place of contact gradually increases.

Floors finished with wood flooring or cork flooring are numbered among those which allow for obtaining an optimal comfort of surface temperature for the sensation of the contact of bare foot with the surface, which is much lower than other finishing materials [3].

The literature that describes properties of flooring and floor contains the data concerning the requirements and recommendations connected with thermal accumulation of flooring, see Tab. 3 [4].

Assumptions and methodology for determination of the thermal accumulation of flooring b and results for calculations for various material solutions using wood flooring were discussed in the study [5].

Table 3

Requirements concerning thermal accumulation of flooring according to [4]

Type of building and the use of rooms		Thermal accumulation of flooring, b
		$W/(m^2 K)$
I	Residential buildings, hospitals, health centers, sanatoriums, orphanages, care facilities, nursery schools, preschools, schools etc.	≤ 12
II	Public utility buildings not listed in point 1, surfaces in the heated commercial buildings, industrial buildings etc., with places for permanent low-intensity exercise work.	≤ 14
III	Surfaces in the rooms of heated commercial buildings and industrial buildings with places for permanent medium-intensity exercise work.	≤ 17

3. Thermal activity for different types of flooring

Analysis of thermal activity of flooring conducted according to the methodology presented was based on ten various types of wood (Tab. 4), with physical parameters adopted from publications [6,7, 8].

Table 4

Types of wood and other materials and their physical parameters used in calculations

Type of wood or other material floor		Desity	Thermal conductivity	Specific heat capacity	Thermal absorption	Coefficient of thermal accumulation
		ρ	λ	c_p	s_{24}	B
		kg/m^3	$W/(m K)$	$J/(kg K)$	$W/(m^2 K)$	$W s^{1/2}/(m^2 K)$
1	Beech	720	0,16	2000	4,33	509,1
2	Birch	640	0,19		4,19	493,2
3	Oak	680	0,19		4,32	508,3
4	Ash	710	0,17		4,18	491,3
5	Fir	440	0,12		2,76	325,0
6	Maple	650	0,16		3,88	456,1
7	Larch	580	0,15		3,55	417,1
8	Pine	510	0,13		3,10	364,1
9	Spruce	460	0,12		2,82	332,3
10	Poplar	440	0,13		2,87	338,2

The results obtained in calculations presented in the study [5], where thermal accumulation b , $W/(m^2K)$, adopts a constant value for the thickness of wooden layer of flooring at the level of from 20 to 22 mm.

The most beneficial flooring in terms of thermal accumulation were those made from fir, spruce and poplar wood. Flooring made from these types of wood applied over a concrete base layer with thickness of over 16 mm meet the requirements for the first group of rooms. Other types of wood allow for meeting the requirements for the rooms from the second group, with thickness of wooden layer of over 10-14 mm.




Fig. 2. Character of change of the thermal accumulation of flooring b wooden floors, depending on the thickness of the layer of wood

Thermal properties of wood flooring were compared with parameters obtained by floors finished with other materials, including marble slabs and ceramic tiles on concrete base layer and wood panels on the polyethylene foam and concrete layers [5].

Comparison of thermal accumulation of the analyzed flooring structures shows that in the structures of heavy flooring finished with natural stone or ceramic tiles, unlike the structure of wood flooring, deterioration of properties connected with thermal accumulation can be observed with the increase in thickness of surface finish layer. Thermal activity of this flooring is increasing and the structure of flooring made of marble slabs is more active. These structures can be numbered among those which meet only the requirements of the fourth class (Tab. 4).

Furthermore, flooring made of wood panels on the polyethylene foam with thickness of 5 mm and concrete layer with 4 cm yielded positive results. This floor has lower abilities for thermal absorption compared to the flooring made from oak wood.

CONCLUSIONS

- Two groups can be emphasized among the parameters that characterize floors and flooring: one connected with processes of thermal transmittance and the other connected with thermal accumulation properties.

2. The increase in thermal insulation leads to a substantial increase in the temperature on the surface of flooring. This is essential to the level of effective temperature and conditions for preventing from mold growth and surface condensation of vapor.
3. Comparison of thermal activity of flooring made from different types of wood shows certain differences that allow for identification of types of wood which are more or less active in these terms.
4. The occurrence of a specific boundary thickness of the wooden floor seems to be characteristic, with this thickness similar for different types of wood, over which properties connected with thermal accumulation are stabilized.
5. The most beneficial in terms of the properties studied is flooring made of types of wood which are popular for flooring, i.e. fir, spruce, poplar and pine wood. The least beneficial is the use of flooring made of oak wood and beech wood for such structures.
6. In the flooring finished with natural stone or ceramic tiles, unlike the structure of wood flooring, deterioration of properties connected with thermal accumulation can be observed with the increase in thickness of the finish layer.
7. Flooring made of wood panels on the polyethylene foam and concrete base layer are more beneficial than the flooring made of oak wood.

REFERENCES

1. Obwieszczenie Ministra Infrastruktury z dnia 17 lipca 2015r. w sprawie ogłoszenia jednolitego tekstu rozporządzenia Ministra Infrastruktury w sprawie warunków technicznych, jakim powinny odpowiadać budynki i ich usytuowanie. Dz.U. 1422/2015;
2. Bašta, J.: Velkoplošné sálové vytápění - podlahové, stěnové, stropní vytápění a chlazení. Grada publishing, a. s., Praha, 2010;
3. Budownictwo ogólne. T.2 Fyzyka budowli, pod kierunkiem prof. dr. hab. inż. Piotra Klemma, Arkady, Warszawa, 2010;
4. Jeremkin A.I., Koroljewa T.I., Teplovoj režim zdaniy. Izdatelstvo Asocjacji Stroitelnych Vuzov, Moskwa, 2000;
5. Ujma A., Ciepłochłonność posadzek drewnianych. Izolacje R.14 nr 9, 2009;
6. Pióro P., Układanie parkietów na posadzkach z ogrzewaniem podłogowym. [http://www/lakiery.pl/parkiet na ogrzewaniu podłogowym,p, 38.html](http://www/lakiery.pl/parkiet-na-ogrzewaniu-podlogowym,p,38.html);
7. Kozakiewicz P., Fyzyka drewna w teorii i zadaniach. Wydawnictwo SGGW, Warszawa, 2006;
8. The Encyclopedia of Wood. Forest Products Laboratory, US Dept of Agriculture, Forest Products Laboratory, Skyhorse Publishing Inc., 2007.

**INFLUENCE OF SELECTED WINDOW TECHNICAL PARAMETERS
ON LIGHT CONDITIONS IN ROOMS**

A. Ujma, A. Lis

*Czestochowa University of Technology
ul. Dąbrowskiego 69, 42-200 Czestochowa, Poland
E-mail: aujma@bud.pcz.pl, alis@bud.pcz.pl*

Annotation. The processes of heat penetration through transparent partitions related with, inter alia, transmission of sun radiation through the partitions. They have an influence on the interior lighting conditions, and also heat consumption. The paper presents results of analysis of lighting of the chosen interior space taking into consideration periods of exploitation of the artificial and natural illumination. The employment of glass of different light permeability were taken into consideration. Results of calculations were used for evaluating time of electric energy needed for artificial lighting in analysed variants of natural light systems.

Keywords: transparent partitions, interior lighting conditions, energy indicators.

PREAMBLE

The transmission of sun radiation through the partitions have an influence on the interior lighting conditions coming from the natural lighting as well as on the energy balance during a heating season and sometimes also on the interior cooling balance. The intensity of natural lighting reaching the interior of the building determines the level electricity consumption required for artificial lighting of rooms [1, 2, 3, 4].

In accordance with the present trends of building energy evaluation the comprehensive consideration of all factors influencing the energy consumption in the building shall be applied. The current methodology of determining building energy characteristics takes into account the operating conditions of transparent partitions considering their impact on the energy consumption and on the necessity to cover losses related with heating or cooling the rooms of a building. The heat losses and gains on the transparent partitions are covered by this methodology. However, not sufficient attention is paid to the problem of electricity consumption in lighting systems when the interior illumination with natural lighting coming through transparent partitions is less intensive. The importance of this problem becomes more and more crucial due to the requirement of improving energy efficiency of elements and technical systems of buildings. In this context the issue of specifying the transparent partitions in the buildings considering the assurance of basic occupation needs and at the same time optimal energy consumption becomes very imperative. The articles [5, 6, 7] present the need of rationalization of construction technology of transparent partitions taking into account minimalized electricity demand for artificial lighting.

The requirements regarding acceptable external surfaces of partitions are specified in two provisions of Polish construction regulations [8, 9]. The first one specifies the requirement of assuring adequate illumination from natural light of rooms that people are using. It determines the minimum acceptable window surface area A_{0min} . In accordance with the regulation [5, 6] for the rooms that people are using the ratio of windows surface area - A_0 to the floor surface area - A_p should be equal to at least 1:8 and for the rooms for which it is not necessary to assure constant natural light – at least 1:12.

The second provision refers to the group of requirements related with the obligation to limit the building heat losses through the external partitions and specifies the maximum acceptable surface area of a

transparent partition A_{0max} [9]. Following this provision the surface area of windows and other transparent partitions characterized by the heat transmission coefficient higher than $0.9 \text{ W}/(\text{m}^2\text{K})$ shall not exceed the A_{0max} value computed from the formula:

$$A_{0max} = 0,15 A_z + 0,03 A_w$$

where:

A_z – surface area of a part of a floor along external walls with transparent external barriers in a shape of a strip 5 m wide;

A_w – surface area of a rest of a floor in heated rooms with transparent external barriers.

In this context it is worth to pay an attention to designing guidelines specifying the reasonable depth of rooms with regard to room illumination by natural lighting. It is recommended, among other guidelines, that the depth of rooms from east, south and west side of a building is not larger than 5.5 m whereas from the north side not larger than 3.5 m [10]. Furthermore, it is advised that the windows on the north elevation are characterized by the light permeability at the level of at least 75%.

ANALYSIS OF THE LIGHTING CONDITIONS ON THE EXAMPLE OF A SELECTED ROOM

The basic analysis of the lighting conditions was conducted for a chosen room of a building, located in Warsaw, with the assumption of different parameters for light permeability through the transparent partitions, variable depth of a room, different orientation towards four cardinal points, different seasons and other data required for calculations. The calculations were performed using DIALux software that is applied for designing artificial lighting and the intensity of a light coming inside through the transparent partitions was also taken into account. The minimum lighting intensity level at the working surface $E = 500 \text{ lx}$ was assumed for the calculations. In accordance with the provisions [11] it corresponds to the work with details, with average contrast, like sketching, reading, drawing, using a computer. Within the periods when the light intensity is lower the artificial light shall be used.

The calculation results describing changes in lighting at the working surface in a room (width – 8 m, window surface area – 12 m^2 , light permeability coefficient $\tau = 80\%$), at the different depths (Fig. 1, 2) show that following the increase in depth the average lighting conditions become drastically worse.




Fig. 1. Changes in the light intensity at the working surface depending on the depth of a room

In many cases the required illuminance level 500 lx or even 300 lx cannot be assured therefore it is necessary to use artificial light. The calculations of a light intensity were carried out for a working surface located 85 cm above the floor level. They covered 12-hours of the room exploitation (work) from 7⁰⁰ to 19⁰⁰, on 23rd of March – equinox. The shadows from surrounding objects were not taken into account. The main outcome of the calculations is changing time of switching on and off the artificial light.




Fig. 2. Changes in the light intensity during a day depending on the depth of a room




Fig. 3. Changes in the light intensity at the working surface during a day considering different window glass transmission coefficient values

The above comparison demonstrates (Fig. 3) that in case of window glass light transmission coefficient lower than 06 it will be necessary to use artificial light practically during the whole day.




Fig. 4. Changes in the light intensity at the working surface during a day considering different locations of a building

The above graph (Fig. 4) shows that there is a considerable difference in time of using artificial light depending on the location.

The results of the conducted analysis indicated that the total time of using artificial light within the considered range of a relation between window surface area and the floor surface, from 0.125 to 0.250, comes up to 2 hours and 11 minutes.

Following the presented calculation results it can be concluded that the total time of using artificial light in the rooms may be considerably different depending on the technical solutions of transparent partitions. Therefore, both the costs of using artificial light and the total exploitation costs may vary significantly.

CONCLUSIONS

Building regulations impose requirements on transparent partitions to ensure adequate lighting conditions for rooms with daylight, reduction of heat consumption and indirectly of electricity consumption in buildings. Based on the analysis, it was found that:

1. Transparent partitions may significantly influence the total energy costs related with using the rooms and the building energy quality indicator. In this case the deciding factors are: heat transmission coefficient, sun radiation transmission coefficient, natural light transmission coefficient. Considering the energy efficiency of the rooms and of the whole buildings and looking for optimal solutions from the energy point of view the total group of factors affecting the energy costs (electricity and heat) shall be taken into account.
2. The natural light transmission coefficient has a notable impact on time of switching on and off the

- artificial light and consequently directly influences the costs of electricity utilized for lighting purposes.
3. The depth of the rooms plays an important role in arranging lighting conditions in rooms and in exploitation of artificial light and it also directly influences the significant changes in the costs of electricity utilized for lighting purposes.

REFERENCES

1. Ujma A.: Vlianie svetopronicaemosti vnesnih pregrad na uslovia osvescenia i energetiku zdaniy. Budownictwo o zoptymalizowanym potencjale energetycznym. Construction of optimized energy potential 2(12) 2013, s. 126-136.
2. Lis A.: Energooszczędne rozwiązania stosowane przy wymianie lub renowacji okien. Izolacje R. XXII (212): 2017 nr 1, s. 60-65
3. Ujma A., Smarov I. A.: Obespechenie energosberezhenija pri normirovanii osveshchenija pomeshchenij v zdaniyach v Polshe. Mezdunarodnaja Nauchno - Technicheskaja Konferencija Ekologicheskaja Bezopasnost', Energosberezhenie v Stroitelstve i ZKCH, Kavala, Greece (24 – 27.08.2015), Nauchno-Issledovatelskij Institut Stroitelnoj Fiziki PAACH, Moskva, 2015, 125-136p.
4. Lis A.: Podniesienie termoizolacyjności stolarki budowlanej w budynkach zabytkowych. Izolacje. R. XXI (211): 2016 nr 11/12, s. 64-72
5. Heim D., Matusiak B.: Projektowanie energooszczędnych systemów oświetlenia dziennego – polki świetlne. Energia i Budynek 03, 2007, s. 28-31
6. Lis A.: Stolarka budowlana w świetle obowiązujących przepisów w zakresie energooszczędności w budownictwie. W: Materiały i technologie energooszczędne w budownictwie. Monografia nr 332. Red.: M. Ulewicz, R. Respondek. Częstochowa Wydawnictwo Politechniki Częstochowskiej 2017, s. 76-88
7. Pieniazek S: Efektywnosc energetyczna instalacji oświetleniowych. Elektroinfo 11, 2011, s. 64-65
8. Rozporządzenie Ministra Infrastruktury z dnia 12.04.2002 r. w sprawie warunków technicznych, jakim powinny odpowiadać budynki i ich usytuowanie, Dz.U. z 2002 r. Nr 75, poz. 690 (ze zmianami).
9. Rozporządzenie Ministra Transportu, Budownictwa i Gospodarki Morskiej z dnia 5.07.2013 r. zmieniające rozporządzenie w sprawie warunków technicznych, jakim powinny odpowiadać budynki i ich usytuowanie, Dz.U. z 2013 r. poz. 926.
10. Podpora E., Sasin T., Szymanska-Rzeznik K., Zach J.: Założenia projektowania bryły, elewacji i przegród zewnętrznych budynków w standardzie MBJ2030. Mostostal Warszawa 2010
11. PN-EN 12464-1:2012 Światło i oświetlenie. Oświetlenie miejsc pracy. Część 1: Miejsca pracy we wnętrzach.

ფანჯრის შერჩეული ტექნიკური პარამეტრების გავლენა ოთახების
განათების პირობებზე

უიმა ა., ლის ა.

*ჩესტოხოვას ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
ჩესტოხოვა, პოლონეთი*

ანოტაცია. სითბოს შეღწევადობის პროცესი, დაკავშირებულია გამჭვირვალე ტიხრების მეშვეობით, მზის რადიაციის გადანაწილებასთან დანაყოფების მეშვეობით. მათ აქვთ გავლენა შინაგან განათების პირობებზე და ასევე სითბოს მოხმარებაზე. სტატიაში წარმოდგენილია შიდა სივრცის განათების ანალიზის შედეგები ხელოვნური და ბუნებრივი განათების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით. ბუნებრივი სინათლის სისტემების გაანალიზებულ ვარიანტებში ხელოვნური განათებისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის დროის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა გამოთვლების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: გამჭვირვალე ტიხრები, ინტერიერის განათების პირობები, ენერგეტიკული მაჩვენებლები.

Архитектура и строительство

**ВЛИЯНИЕ ТЕХНИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ ОКОН НА УСЛОВИЯ
ОСВЕЩЕНИЯ КОМНАТ**

А. Уйма, А. Лис

*Честоховский технологический университет
Честохова, Польша*

Аннотация. Процесс распространения тепла и света зависит от прозрачности перегородок и распределения солнечной радиации. В статье представлены результаты анализа освещения внутреннего пространства с учетом периода эксплуатации искусственного и естественного освещения. В анализируемых вариантах освещения для оценки необходимости электроэнергии проводились специальные расчеты.

Ключевые слова: прозрачные перегородки, условия освещения интерьера, энергетические показатели.

გარემოს დაცვა.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

მთის ტყის არამერქნული რესურსები და მათი გამოყენების გეოგრაფიული თავისებურებები

თ. ქობალია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, თბილისი, საქართველო

E-mail: kobalia.teo21@gmail.com

ანოტაცია. საქართველოს ტყეებში არაერთი ისეთი რესურსია, რომელთაც მაღალი კვებითი, სამედიცინო, დეკორატიული და სხვა დანიშნულება გააჩნია. განსაკუთრებით დიდი რესურსებია იმ მთიან რეგიონებში, სადაც აღინიშნა მოსახლეობის მიგრაცია. არადა, ამგვარ პროდუქტებზე დიდი მოთხოვნაა ევროპაში, რაც მოსახლეობისთვის არსებითი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს.

კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა საქართველოს ტყის რესურსების ცალკეული სახეები, მათი გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებანი და გამოყენების შესაძლებლობები. განხილულ იქნა: საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის ინტერესები ტყის არამერქნული რესურსების მიმართ; როგორებიცაა საკონდიტრო საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ხილის წვენს, ასევე ჩაის, მნიშვნელოვანია „მწვანე აფთიაქები“, საერთაშორისო ბაზარზე დიდი რაოდენობით გადის ასევე გადაუმუშავებელი ნედლეული.

გამოვლინდა ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ტყის არამერქნული რესურსის მოპოვების პერიოდსა და მოცულობასთან მიმართებაში, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ცნობიერებასთან.

ტყის არამერქნული სახეობები საქართველოს მთიან რეგიონებში ეკონომიკის არაერთი დარგის განვითარების წინაპირობა შეიძლება გახდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიგრაციის პრევენციას.

საკვანძო სიტყვები: ტყის რესურსი, არამერქნული სახეობები, ევროპული გამოცდილება, გეოგრაფია

შესავალი

საქართველო მდიდარია ტყის რესურსებით, რასაც მრავალგვარი გამოყენება აქვს და უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია. კვლევის მიზანს წარმოადგენს ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და მასალების (თესლის, ნაყოფის, ძირკვის, ლაფნის, ფიჩხის, ნეკერის და სხვ.) და ტყის არამერქნული რესურსების (სოკოები, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეული, მცენარეები, რომელიც გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში, დეკორაციისთვის და ა.შ, სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) გეოგრაფიული განაწილებისა და მოსახლეობის მიერ მისი სარგებლობის თავისებურებების კვლევა. საქართველო მდიდარია მსგავსი რესურსებით და ამ რესურსების განაწილებაზე, რაოდენობაზე,

ხარისხზე და პოტენციალზე ჯერ საფუძვლიანი კვლევა არ ჩატარებულა. სტატიაში ასევე განხილულია აღნიშნულ სფეროში არსებული ევროპული (ალპური ქვეყნების) გამოცდილება.

ძირითადი ნაწილი

ტყის დანიშნულება საყოველთაოდ ცნობილია. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთიან რეგიონებში, სადაც მას გარდა ბიოლოგიურისა, წყლისა და ნიადაგის დაცვის ფუნქციაც აკისრია. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტყეს ჰაერის გაჯანსაღებაში, გააჩნია უდიდესი ესთეტიკური და რეკრეაციული დანიშნულება.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტყის ფონდის საერთო ფართობი 2010 წლის მდგომარეობით შეადგენს 3007.6 ათას ჰექტარს ანუ ქვეყნის ტერიტორიის 43.2%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარულ მიწებს) უკავია 2822.4 ათასი ჰექტარი ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40.6% (ტყიანობის პროცენტი). საქართველოში ტყის ძირითადი ნაწილი მთებთანაა დაკავშირებული, რადგან მთათაშორის ბარში თითქმის სრულიად ათვისებულია ტყიანი ტერიტორიები. მთებში სიმაღლის მატებასთან ერთად იცვლება სითბური რეჟიმი, ტენიანობა და სხვა ფაქტორები, რაც განსაზღვრავს მთის ტყეების გავრცელების თავისებურებებს. დასავლეთ საქართველოში შემადლებული ადგილები და მთისწინები დაფარულია კოლხური ტიპის ტყეებით. მათ ქმნის რცხილა, ჰარტვისისა და იმერული მუხები, იფანი, ძელქვა, წიფელი ქვეტყეში ხარობს წყავი, შქერი, თაგვისარა, მოცვი და სხვა, უხვადაა ხვიარა მცენარეები.

აღმოსავლეთ საქართველოში მთის ქვედა სარტყელში (500-დან 900-1000 მ-მდე) წაბლისა და მუხის ტყეებია. წაბლნარი გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტენიან რაიონებში. დასავლეთ საქართველოს კირიან ნიადაგებზე და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ რაიონებში წაბლნარის ნაცვლად მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და რცხილნარია გავრცელებული. ქვეტყეში იზრდება ზღმარტლი, კუნელი, თხილი, შინდი და სხვ.

მთის შუა სარტყელში (900-1000-იდან 1500-1600 მ-მდე) წიფლნარია, ზოგჯერ შერეული რცხილასთან, ცაცხვთან, ნაძვთან და სხვ. საქართველოში წიფლის ტყის სარტყელი არ არის მხოლოდ მესხეთ-ჯავახეთში. მის ადგილს აქ იკავებს სოჭთან შერეული ნაძვნარი, ნაძვნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი.

მთის ზედა სარტყელი წარმოდგენილია მუქწიწვოვანი ტყეებით და დასავლეთ საქართველოში 1400 მ-იდან ხშირად აღწევს ტყის გავრცელების ზედა საზღვარს. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი 1500-დან 2100 მ-მდე ვრცელდება. ამ ტყეების ქმნის აღმოსავლური ნაძვი და კავკასიური სოჭი, რომლებიც ხშირად შერეულ კორომებს ქმნიან. მათ ერევა წიფელი, თელა, ცაცხვი, ასევე გავრცელებულია ფიჭვი.

მთის ზედა ზოლი (ზღვის დონე 1900-2100-დან 2400 მ-მდე) უკავია სუბალპურ ტყეებს, სუბალპური ტანბრეცილებსა და სუბალპურ მეჩხერებს, რომლებიც უმთავრესად წარმოდგენილია არყნარით და წიფლნარით.

ტყის არამერქნული რესურსი არის ტყის ნებისმიერი პროდუქტი, გარდა მერქნულისა, რომელიც იწარმოება ან შეიძლება მოპოვებულ იქნას ტყეში. მასში გაერთიანებულია ხილი, თხილი, სოკოები, ყვავილები, ბოსტნეული, სამკურნალო მცენარეები, ფისი, ესენციები, ქერქის და ბოჭკოების ფართო სპექტრი (როგორცაა ბამბუკი, პალმები და ბალახები). არამერქნული

სახეობები გამოიყენება საკვებად, მედიცინაში, საკონდიტრო ნაწარმის დამზადებაში, კოსმეტიკაში, მისგან ამზადებენ დეკორატიულ და სხვა ტიპის ნაწარმს.

როგორც აღვნიშნეთ, მთის ტყეებს ქმნიან ისეთი მცენარეები როგორებიცაა: მუხა, ნაძვი, ფიჭვი, წიფელი, რცხილა, წაბლი, ნეკერჩხალი და ა.შ. ეს მცენარეები თვის მხრივ თვითონ წარმოქნიან არამერქნულ რესურსს და ქვეტყეს, სადაც გავრცელებულია ისეთი არამერქნული რესურსები, როგორიცაა: **კენკროვნები** (მოცვი, მაყვალი, ჟოლო, მოცხარი, კოწახური, მარწყვი და სხვ), **სამედიცინო** (ანწლი, დიყი, ბარამბო, დაფნა, თავშავა, კატაბალახა და სხვ), **დეკორატიული** (გვიმრა, კესანე, შროშანა, ორქიდეა და სხვ) დანიშნულების და სხვა **საკვები** სახეობები (სოკოები, ხეხილი, მხალეული, თხილეული). აღსანიშნავია ტყის ფაუნა ცხოველების, ფრინველების და თევზის სახით, რომლებიც ასევე ტყის არამერქნული რესურსებია. საქართველო ამ პროდუქტებით მდიდარია და ისინი მრავალფეროვნებით და ხარისხით გამოირჩევა. ქვეყანაში რამდენიმე კომპანია ახორციელებს ამ პროდუქტების მოპოვებას, გადამამუშავებას და რეალიზაციას [1].

კვლევის პროცესში გამოკითხვა ჩატარდა მცხეთა-მთიანეთის მხარის, თიანეთის მუნიციპალიტეტის ორ სოფელს: ზემო და ქვემო ნაქალაქარს. ამ სოფლების შერჩევის მიზეზი მთის ტყის რესურსებთან და დედაქალაქთან სიახლოვე იყო, რომელიც ტყის არამერქნული რესურსების მოპოვება-რეალიზაციისთვის უმთავრესი კრიტერიუმებია. გამოკითხვისას გამოირკვა, რომ მოსახლეობა საერთოდ არ ნადირობს, რაც განპირობებულია კანონით. ერთეულებმა დაგვიდასტურეს ველური თაფლის არსებობა ტყეებში, ინფორმაცია გადმოცემით იცოდნენ და ზუსტ მონაცემებს არ ფლობდნენ. კენკროვანი სახეობებიდან, გამოკითხულთა 90%-მა დაგვიდასტურა მაყვლის შეგროვების დიდი პოტენციური ახლომდებარე ტყეებში, მათი ნაწილი პირადად არის დაკავებული ამ საქმიანობით და ზოგიერთისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. ასევე დაგვიდასტურეს მოცვისა და ტყის მარწყვის შეგროვების შესაძლებლობები. ხილის სახეობებიდან აღინიშნა: მოცხარი, თხილი, შინდი, მაჟალო, პანტა, ზღმარტლი, კოწახური და ქაცვი. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ხშირად იყენებენ მაჟალოს და პანტას, რისგანაც ამზადებენ ჩირს და აღნიშნეს, რომ ველური ხილისგან ჩირის დამზადების ტენდენცია ძლიან კლებულობს. გამოკითხულთა შორის აღინიშნა მოცვის ფოთლებისა და ბალახეულის გამოყენება ჩაისთვის.

სამკურნალო მცენარეების მოხმარებაში აშკარა ლიდერად გამოიკვეთა ასკილი, ძახველი, თავშავა და კრაზანა, ასევე აღნიშნეს მრავალმარღვა, ველური პიტნა, წითელი და შავი კუნელი, ანწლი, ქრისტესისხლა.

საკვები არამერქნული სახეობებიდან თითოეულმა რესპოდენტმა დაადასტურა ტყეში საკვები სოკოს არსებობა და 40%-მა პირადად მოხმარება. რამოდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ადრე, სოკოს გაყიდვის უფრო დიდი პოტენციური და მაღალი ფასი იყო ვიდრე დღეს და გამოთქვეს უკმაყოფილება საწარმოებისა და დამამზადებლების არარსებობაზე მუნიციპალიტეტში. ძირითადად პროდუქციის რეალიზება ხდება პირადი და გადამყიდველების ხარჯზე. გამოკითხვისას გამოიკვეთა სხვა საკვები სახეობები: მხალეული ბალახეულობა, სატაცური, ღანძილი, რომლებსაც იყენებენ პირადი სარგებლობისთვის. აღსანიშნავია რომ ველური სატაცური ერთ-ერთი ძვირადღირებული და მოთხოვნადი პროდუქტია.

საქართველოში ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობას დიდი ხნის ისტორია აქვს და მუდამ აქტუალური იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ბოლო პერიოდში, რადგან ის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია და წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლის წყაროს. მერქნული პროდუქტების წარმოება და გადამამუშავება პოტენციურად უმნიშვნელოვანესი საექსპორტო დარგია და დიდი პოტენციალი გააჩნია, რაც ქვეყანას სავალუტო შემოსავლებს მოუტანს და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამ პროდუქტების უმსხვილეს ბაზარს ევროკავშირი წარმოადგენს, იგი ყოველწლიურად 8-10%-ით იზრდება. კარგი მაგალითია შვეიცარია, რომელიც მთიანი ქვეყანაა და მაღალია მთებიდან მიგრაციის პრობლემა, შვეიცარიაში, საქართველოსთან შედარებით, უკეთ არის განვითარებული საკანონმდებლო სისტემა და მოსახლეობისათვის ცნობილია არამერქნული რესურსების მოპოვების პერიოდის, რესურსის რაოდენობისა და რაციონალური გამოყენების შესახებ. აქ ტყის არამერქნული რესურსების გამოყენებას დიდი ხნის ტრადიცია აქვს და აქედან ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი არ არის უმნიშვნელო. არსებული მონაცემებით ნადირობა (ყოველწლიური შემოსავალი 18 მლნ ფრანკი) არის ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო. შემდეგ მოდის ტყის თაფლის წარმოება (10,5 მლნ ფრანკი) და სოკოს დამზადება (9 მლნ ფრანკი). მთაში მცხოვრები მოსახლეობისთვის ტყის არამერქნული რესურსებიდან მიღებული ყოველთვიური სარგებელი მერყეობს 3000-დან 9000-ს ფრანკამდე, რაც არსებითი მაჩვენებელია ოჯახის ბიუჯეტში [2].

საქართველოში ეს საკითხი ძალიან პრობლემურია. ტყის მერქნული რესურსებით არამდგრადი და უკანონო სარგებლობის გამომწვევ მირითად მიზეზებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბე და ხელმისაწვდომი ალტერნატიული რესურსების ნაკლებობა. სიტუაციას ასევე ამძიმებს: ხე-ტყის დამამზადებლებისა და მომხმარებლების არასაკმარისი ინფორმირებულობა; სახელმწიფო ორგანოების შეზღუდული შესაძლებლობები და საკანონმდებლო ხარვეზები; მონიტორინგისა და კონტროლის საშუალება. ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლას, დაცვას, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სატყეო ურთიერთობები საქართველოში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ტყის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით [3]. მათი განმარტებით, ტყის რესურსი არის ტყის ფონდში არსებული მერქნიანი და არამერქნიანი მცენარეები (მათ შორის მათი პროდუქტები), აგრეთვე ხის მეორეხარისხოვანი მასალები (სოჭის გირჩის, თეთრყვავილას ბოლქვების და ყოჩივარდას გორგლების გარდა) [4]. ეს მცენარეები მხოლოდ ჩვენი კანონმდებლობითაა ამოღებული არამერქნული რესურსებიდან. თეთრყვავილას ბოლქვები და ყოჩივარდას გორგლები, რომელთა საექსპორტოდ გატანის მასშტაბებმა მაღალ ნიშნულს მიაღწია, ამჟამად ეკოლოგიურ საფრთხედ წარმოჩინდა და მათი ექსპორტი დროებით შეფერხდა [5]. სოჭის გირჩზე შეზღუდვები არაა დაწესებული, მაგრამ არასწორად მოპოვებული და დამამუშავებული გირჩი საექსპორტოდ უვარგისია და საფრთხეს უქმნის როგორც მცენარეს (არასწორად და შეუსაბამო დროს გირჩის მოკრეფის გამო), ასევე საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორობას. ექსპორტიორი ქვეყანა უარს ამბობს თანამშრომლობაზე, რაც უკავშირდება უხარისხო პროდუქტის მიწოდებას [6].

არსებობს ოფიციალური მონაცემები ლიცენზიით გაცემული მოპოვების მოცულობების შესახებ, მაგრამ, სარწმუნო ინფორმაცია არ არსებობს მოპოვების რეალური მასშტაბების შესახებ, ამიტომ ძნელია ამ პროცესის მდგრადობის შეფასება. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ველურ ბუნებაში ამ რესურსების შემცირება არ შეინიშნება [7].

გარკვეული პრობლემებია ტყის ისეთი არამერქნული პროდუქტების შეგროვების მხრივ, როგორცაა: წაბლი, ველური ხილი, კენკრა და სოკო. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ნებადართულია ამ პროდუქტების უფასოდ შეგროვება პირადი მოხმარებისათვის, თუმცა არ არის დადგენილი მოპოვების ზღვრული რაოდენობები (რომელთა გადაჭარბების შემთხვევაში, პროდუქტების შეგროვება კომერციულ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს). არ არის განსაზღვრული ამ პროდუქტების მოპოვების წლიური კვოტები, რაც მათი არამდგრადი მოპოვების საფრთხესაც ქმნის [8].

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ნადირობის არაეფექტიანმა მართვამ ქვეყანაში ტრადიციული სანადირო სახეობების უმრავლესობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, ზოგიერთი მათგანი კი, საერთოდ გადაშენდა. განსაკუთრებით მძიმე შედეგები ჩლიქოსნებზე უკანონო ნადირობას ჰქონდა. ამჟამად, ბრაკონიერობასთან ბრძოლის მექანიზმები ჯერ კიდევ ნაკლებად ეფექტიანია. პრობლემაა მოყვარულ მონადირეთა შორის ცოდნისა და განათლების ნაკლებობა, რაც ნადირობის წესების დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ჩაითვალოს. საჭიროა მდგრადი ნადირობის სტრატეგიის ჩამოყალიბება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. უნდა განისაზღვროს რესურსების ადეკვატურად შეფასების, მათი გონივრული გამოყენების, ნადირობის კონტროლისა და სხვა ღონისძიებების გატარების საკითხები. ასევე, ჩამოსაყალიბებელია სანადირო სახეობების მენეჯმენტის გეგმები, რაც მდგრადი ნადირობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

საქართველოს მთის ტყეები ტყის არამერქნული რესურსებით მდიდარია. იგი თითქმის არ გამოიყენება მოსახლეობის მიერ, რაც გარკვეულწილად ინფორმაციის ნაკლებობას და საკანონმდებლო რეგულაციებს უკავშირდება. არადა, საქართველოსთვის ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოება და გადამამუშავება პოტენციურად უმნიშვნელოვანესი საექსპორტო დარგია, რაც ქვეყანას დიდი შემოსავალს მოუტანს და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამ პროდუქტების უმსხვილეს ბაზარს ევროკავშირი წარმოადგენს. მასზე ყოველწლიურად მზარდი საერთაშორისო მოთხოვნილებისა და საქართველოში არსებული ამ სახის პროდუქტების უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად, დღეისთვის ეს დარგი სრულიად განუვითარებელია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ დარგის ხელშეწყობა ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ბრენდული ღირებულების პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნის რეპუტაციის დამკვიდრებას. ტყის არამერქნული რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ცვლილებები სატყეო კოდექსში და შემუშავდეს რესურსების მოპოვების სამომავლო პროგრამა.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ადგილობრივი ტყეების მართვისა და მფლობელობის საკითხები. ადგილობრივი ტყეების არსებობა (ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა უშუალო მართვის პირობებში) და მათი მერქნითი და არამერქნითი რესურსების რაციონალური გამოყენება ძალზედ მნიშვნელოვანია ცალკეული რაიონების განვითარების ხელშეწყობისათვის.

ლიტერატურა

1. „ტყის არამერქნული პროდუქტებიდან შემოსავლების მიღების შესაძლებლობები“, ბროშურა, 2017წ. (გვ. 51);
2. Forest Policy and Economics N11 Zurich, Switzerland (2009) Demand for non-timber forest products: Surveys of urban consumers and sellers in Switzerland(1-2 pages);
3. <http://qronikaplus.ge/?p=16310>
4. საქართველოს კანონი-საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „სატყეო სააგენტოს შესახებ“, დანართი 8 (2010 წ. გვ. 2);
5. <https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/26309-rogor-vaqciotk-yvavili-oqrod.html>;
6. <https://bpn.ge/biznesi/13956-kavkasiuri-sotcis-thesls-mdzime-dro-udgas.html?lang=ka-GE>;
7. 2014 - 2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, (გვ. 48);
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2342057/0/ge/pdf>;
9. ”საქართველოს ტყის კოდექსი”.

Environmental protection

Earth sciences

NON-TIMBER RESOURCES OF MOUNTAIN FOREST AND GEOGRAPHICAL FEATURES OF THEIR USE

T. Kobalia

I. Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

Annotation. Republic of Georgia is rich with forest resources, A high variety of non-timber forest products (NTFPs) can be found in Georgian forests, which have nutritional, medical, decorative and other values. One of the most significant resources would be in the mountainous areas where people used to live, but have left their homesteads. Market studies in Europe reveal that there is high demand in natural products that can be found in Georgian forests and that can become important income source for the local population. As a result of research, has been studied different type forest resources of Georgia, characteristics of their geographical distribution and application possibilities. Has been discussed the interests of international and local business about non-timber forest products, such as

confectionery enterprises, which producing fruit juice and tea, very important is the "green pharmacies", also a large quantity of unprocessed materials are exported to the international market.

There is the flaw in the local legislation with non-timber forest products extraction period and quantity, it is directly related to consciousness of the population.

Using of non-timber forest products will bolster the economic development in mountainous regions of Georgia and prevent population migration, which is a pressing challenge at the present time.

Key words: non-timber forest products, market, mountain regions of Georgia.

Охрана окружающей среды
Исследования по изучению Земли

НЕДРЕВЕСНЫЕ ЛЕСНЫЕ ГОРНЫЕ РЕСУРСЫ И ОСОБЕННОСТИ ИХ ГЕОГРАФИЧЕСКОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ

Т. Кобалия

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили
Тбилиси, Грузия

Аннотация. Грузия богата лесными ресурсами, большое разнообразие недревесных лесных продуктов можно найти в грузинских лесах, в которых есть пищевые, медицинские, декоративные и другие ценности. Особенно, большие ресурсы находятся в горных районах, где наблюдается миграция населения. Исследования рынка в Европе показывают, что там есть высокий спрос на натуральные продукты, которые можно найти в грузинских лесах и это может стать важным источником дохода для местного населения.

В результате исследований были изучены лесные ресурсы Грузии разных типов, характер их географического распределения и возможности применения. Были обсуждены интересы международного и местного бизнеса в отношении недревесных продуктов леса, таких как кондитерские предприятия, производящие фруктовые соки и чай, «зеленые аптеки», также большое количество необработанных материалов экспортируется на международный рынок.

Тут есть недостатки в местном законе с периодом и количеством недревесных лесных ресурсов и это прямо связано с сознанием населения.

Использование недревесных ресурсов леса поможет экономическому развитию горных регионов Грузии и предотвратит миграцию населения, что является актуальной проблемой.

Ключевые слова: недревесные лесные продукты, рынок, горные регионы Грузии.

**ალაზნის საცდელ-ეკოლოგიური პუნქტის
45 ჰა ნაკვეთის დამლაშებული ნიადაგის
შეფასება და ანალიზი**

ქუფარაშვილი ი.*, კაკაშვილი გ.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას ქ. 68, 0175, თბილისი, საქართველო
E-mail: irma2qufarashvili@gmail.com*

ანოტაცია. სტატიაში აღწერილია ალაზნის 45 ჰა-იანი საცდელ-სადრენაჟო პოლიგონის დახასიათება. აღნიშნული ობიექტის ნიადაგ-გრუნტების მელიორაციული შეფასება.

წარმოდგენილია წყლის გამონაწურის შედეგები, საკოლექტორო ჩამონადენი წყლების მინერალიზაცია, დამლაშებული-მელიორირებული ნიადაგების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები.

დადგინდა, რომ დამლაშებული მელიორირებული მიწების თანდათანობით გამტკნარების პროცესი შეუქცევადია და სრულყოფილი სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელი დამლაშებული, ძლიერ მინერალიზებული გრუნტის წყლების ეკოლოგიური გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: მარილშემცველობა, გამტკნარება, ჩარეცხვა, მინერალიზაცია, დამლაშების ტიპი, წყლის გამონაწური.

შესავალი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს დამლაშებული ნიადაგების სასოფლო-სამეურნეო ათვისება. პრობლემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ დამლაშებულ ნიადაგებს უკავია დასამუშავებელი მიწების 18,7%.

მლაშობი მიწები ძირითადად განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოს ინტენსიური ინსოლაციის ზონაში, რითაც განპირობებულია მათი მაღალი თერმული რეჟიმი. აქ აქტიური ტემპერატურის ჯამი აღწევს 4000-5000 გრადუსს, რაც ანთროპოგენულ და სხვა ფაქტორებთან ერთად დამლაშება-გაუდაბნოების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად უნდა ჩაითვალოს.

მელიორაციულ ღონისძიებათა მიხედვით ფართობები იყოფა ორ ჯგუფად:

- ფართობები, რომელთაც ესაჭიროება მხოლოდ ქიმიური მელიორაცია და კულტ-ტექნიკური სამუშაოები - 110 000 ჰა.
- ფართობები რომელთაც ესაჭიროება ძირეული კომპლექსური აგრო-ჰიდრო-მელიორაციული სამუშაოები: საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი; კაპიტალური მოშანდაკება, ქიმიური მელიორაცია და ჩარეცხვა - 45 000 ჰა.

* სამუშაო შესრულებულია პროფესორ გ. გავარდაშვილის ხელმძღვანელობით

აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგებიდან მელიორაციული სირთულისა და ათვისების სიძნელის მხრივ გამოირჩევა ალაზნის ველის (32 ათასი ჰა) ბიცობ-მლაშობები და მდელოს ბიცობ-მლაშობიანი ნიადაგები. ამ ობიექტის მელიორაციული გარემოების განმსაზღვრელი თავისებურებებია: ბუნებრივი დრენირების უქონლობა, ძლიერალიზირებულობა (20-50 გ/ლ), გრუნტის წყლების მაღალი დგომა (1-2 მ ნიადაგის ზედაპირიდან), ნიადაგ-გრუნტის არახელსაყრელი ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ადვილად ხსნადი ტოქსიკური მარილების მაღალი შემადგენლობა და სხვ.

ცნობილია, რომ კლიმატი, როგორც მთავარი ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორი, განსაზღვრავს მის მიმართულებას და ნიადაგის ძირითად ზონალურ ტიპს, ე.ი. კლიმატური ფაქტორების დომინირება ნიადაგწარმოქმნის სხვა ფაქტორებთან შედარებით განაპირობებს ზონალური კლიმატოგენური ნიადაგების ფორმირებას, მაგრამ თუ კლიმატის გავლენა აღნიშნული მიმართულებით შესუსტებულია რომელიმე ფაქტორების მეოხებით, მაშინ ნიადაგის ძირითადი კლიმატოგენური ტიპი მკვეთრად არ არის გამოხატული და მოკლებულია ნიადაგის შენების ტიპურ ნიშნებს. ძლიერდამლაშებული და ბიცობმლაშობიანი ნიადაგების მელიორაციას ართულებს სუსტი ფილტრაციული თვისებები, უალრესად მძიმე მექანიკური შემადგენლობა, ძლიერმინერალიზებული გრუნტის წყლების სიახლოვე, ბიცობიანობის მაღალი დონე და სხვა ფაქტორები.

ალაზნის ველის ბიცობი და მლაშობი ნიადაგების სიმკვრივე - გამოწვეულია თიხნარობის მაღალი ხარისხითა და უკიდურესად დაბალფილტრაციული მაჩვენებლებით; საერთო ფორიანობის დაბალი დონითა და ცუდი წყალგამტარუნარიანობით [1].

ძირითადი ნაწილი

ალაზნის 45 ჰა-იანი საცდელ-სადრენაჟო პოლიგონი აშენდა 1951 წელს ძლიერ დამლაშებული ნიადაგების ცენტრში. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ცნობილია როგორც „ალაზნის 45 ჰა-იანი საცდელ-სადრენაჟო ნაკვეთი“.

ამ მასივებისათვის დამახასიათებელ მეტად არახელსაყრელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ბუნებრივი დრენირების უქონლობა და ძლიერმინერალიზაციასთან ერთად გრუნტის წყლების მაღალი დგომა (0,5-2,0 მ მიწის ზედაპირიდან).

აღნიშნული ობიექტის ნიადაგ-გრუნტების მელიორაციულმა შეფასებამ განსაზღვრა მათი ძირეული მელიორაციის ხანგრძლივი პროცესი და ამ პროცესის განხორციელება ორ ეტაპად.

პირველი ეტაპით გათვალისწინებული იყო კაპიტალური ჩარეცხვა ღრმა დახურული ჰორიზონტალური დრენაჟი, რომლის ძირითადი პარამეტრებია - სიღრმე 2,5-3,0 მ; მანძილი დრენებს შორის 150-350 მ; კოლექტორების სიგრძე 3,5-4,0 მ.

ნიადაგის საფარი 45 ჰა-იანი საცდელ-სადრენაჟო ნაკვეთისა წარმოდგენილი იყო ბიცობიან-მლაშობიანი ნიადაგებით, დამლაშების დიდი სიჭრელით. საშუალო დამლაშება ზედა მეტრიან ფენაში შეადგენდა - 2% - ს, მეორეში - 2,3%-ს, მესამეში - 1,7%-ს ნიადაგ-გრუნტის წონიდან, შედარებით უფრო მკვრივ ფენაში - 2,7%-ს.

დამლაშების ხასიათი ქლორიდულ-სულფატურია, უფრო იშვიათად სულფატური, უმთავრესად ნატრიუმიანი ან კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიანი კათიონების შეფარდებით, სადაც მარილების შემადგენლობაში მთავარი კომპონენტია ნატრიუმის სულფატი, მაგრამ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე გვხვდება სხვადასხვა სიღრმეზე მდებარე თაბაშირი.

საცდელი ჩარეცხვები 45 ჰა-იან საცდელ-სადრენაჟო ნაკვეთზე ა.ს.ვოზნესენსკის მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით ჩატარდა 2015-2017 წლებში. აღნიშნულ დროში განხორციელდა ოთხი ჩარეცხვა ერთჯერადი ნორმით 2500-3000 მ³/ჰა-ზე, რომელიც აღემატებოდა ნიადაგ-გრუნტის 0-1,0 მ მიწის თავისუფალ ტევადობას 800-1200 მ³/ჰა-ზე და რამაც გამოიწვია გრუნტის წყლების აწევა თითქმის ნიადაგის ზედაპირამდე[2,3].

სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელმა უზრუნველყო გრუნტის წყლის დონის დაწევა კრიტიკულ (1,4 მ) სიღრმემდე 2-2,5 თვეში - დაწევის სიჩქარით 2-2,3 სმ/დღ-ში; სადრენაჟო ჩამონადენის (მოდული) 0,15-0,24 ლ/წმ-ში ჰა-დან.

